



საკოლიტიკო. სავაქცინაციო და სალიტერატურო ნახატებიანი ბაზეთი გამოდის უოქველ კვირა დღეს.

№ 23

ი ვ ნ ი ს ი 6 1899 წ.

№ 23

შინაარსი: გვირიდან გვირამდე. — სხვა და-სხვა ამბები — „გვალის“ კორესპონდენციები — ქუთაისის ბანკისკრება განკიცხელისა. — ნაწუვეტები, ლექსი დ. თომაშვილისა. — ბ ნ ა — ლის „სალ ტერაჯურო“ ნიმუშები ძველი მოკამათისა. — ანგარიში წერა-კითხვის გამავრცელებელ. საზოგადოებისა. — შეაბრეშუმეობა კავკასიაში 1898 წ — თფ ლ სის სათავად-აზნაურო სკოლა. — საუბარი მკიხიძეებთან (დასასრული) ალ. წუღუეკიძისა. — უკანასკნელი შეხვედრა (ჯურგენიევიდან). — წერილი რედაქციის მ მართ ს ბან ტაძისა და ამერიკული გვარდილა

რედაქციის ადრესი: არცილოერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

### გვირიდან გვირამდე

კაი ცხენი ბოლოს — Принять!.. — მი-  
წველი ნაბიჯი — უშეკუვრდამქელისი  
ერთგულეკა — სულ ფული და ფული —  
საუცხო თაგმჯდამარე.


უმ კვირაში გაიხსნა კრებების სეზონი. ზოგი ამა თვანი ვერ შედგა, ზოგი შედგა და კიდევაც გათავ-  
და, ხოლო ზოგი შედგა და ბოლო კი აღარ უჩანს. პირველთა შორის საყურადღებოა წერა-კითხვის სა-  
ზოგადოება, მეორეთა შორის — თფილისის საზნაუ-  
ურო ბანკი, ხოლო დაუსრულებელი ისტორია, რო-  
გორც იცით, ქუთაისის ჭირს. აქ დაწყებით ყველა-  
ფერს დაიწყებენ, მარა გათავებით კი იშვიათათ გა-  
თავებენ და თუ გაათავეს უთუოთ ისე, რომ ამას გაუთავებლობა აჯობებს, ერთხანს მაინც სი-  
ხარულში ხარ, საქმიანობა დუღს და გადმოდისო. მართალია ამბობენ კაი ცხენი ბოლოსო, მარა ეს ქუთაისის არ მიუდგება; აქ კაი და ავიც სხვა ნიჩათ ესმისთ; მაგ. სხვაგან „ჯახრაკი“ ცხენი აქ ბედაურათ

გამოჰყავთ და ზედ შესკუბული მხედარი ყარამანისე-  
ბურათ თავმომწონეობს, ვერა ხედავ რა ექვს ფეხიან რაზმე ეზივარო! ერთი სიტყვით, ქუთაისში საქმის დაწყება მტერს მოკლავს, დაბოლოვება კი — მოყვა-  
რეს. ერთი ასეთი მტრის გულის გასატეხი საქმე უკვე დაიწყეს ამ კვირაში. ეს არის ქუთაისის ბანკის კრე-  
ბა. მარა ნეტავ იცოდეთ, რანაირათ დაიწყეს! ოთხიე-  
კუთხით საყვირი დაჰკრეს, მოდით, ვისაც მუხლი გერ-  
ჩისთ, სამშობლო იღუპებაო. ჟურნალ-გაზეთებში ხომ ისეთი კორიანტელი ადგა, რომ გარეშე მაყუ-  
რებელს ეკონებოდა, უთუოთ ღრეიფუსის საქმე ქუ-  
თაისში გადმოუტანიათ გასაჩჩევითო... ოპოზიცია დიდის რიხით შევიდა საკრებულო დარბაზში, პირ-  
ველი იერიშიც ჩინებულათ მიიტანა (თუმცა ცოტა კი შეკოქლდა), მარა საქმე ბოლოა, ვნახრთ ამ ბო-  
ლოსაც თუ მიატანს...

\* \*

ბოლო თფილისის ბანკის წარმომადგენლებმა უკვე მიატანეს, და მიატანეს სწორეთ ისე როგორც დაიწყეს. ამბობენ: კრებაზე ლაპარაკს და კენჭობიას





ლოლიკა არა აქვსო. შეიძლება ეს მართალი იყოს თავის თავით, მარა აქაურ ბანკის კრებაზე კი ეს არ ითქმის. აქ დასაწყისში შეგეძლოთ გეთქვათ, რა იქნებოდა დასასრული და დასასრულში — რა უნდა ყოფილიყო დასაწყისი. ჯერ ერთი, კრებას წარმომადგენელთა ნახევარიც არ დავსწრო. ალბათ ქუთაისსავე არ ყოფილა აქ სამშობლო განსაცდელში. მეორე, ეს წარმომადგენელთა თავ ყრილობაც სწორეთ ისეთივე სახისა ყოფილა, როგორც იყო ნეტარხსენებული წევრთა თავ-ყრილობა; განსხვავება მხოლოდ რიცხვშია, აქ ასი იყო და იქ კი სამასი თუ მეტი, ესენი ბანკის პატარა დარბაზშიაც კი დაეტიენ, ისინი კი თეატრშიაც ძლიერ ეტეოდენ. ეს არის და ეს, თვარა სხვაში სამაგალითო მგზავსება: იგივე ჩინონები, იგივე სერთუკონები და ბოლო სკამებზე იგავე ჩოხონები. იგივე *принять?* — *принять, принять...* იგივე სიჩქარე და მოუთმენლობა. ტყუილა არ თქვა ერთმა: რაღას გვაწუხებთ ადგომ-დაჯდომით, *принять* და გათავდაო... ერთი სიტყვით, ეს ნანატრი კრება არც გარეგანი სახით და არც თავისი საქმიანობით არ განირჩევა წინანდელ მოძულეებულ კრებებისაგან, პირ იქით ძალიან ზევრში იმათზე დაბლა დგას და ეს პირველ ყოვლისა ოპოზიციის სრულიად განდევნაში...

\*\*\*

კრება გახსნილია! გამოაცხადა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ. მაქვს პატივი მოგახსენოთ, ვანაგრძო მანვე, შემდეგი სამწუხარო ამბავი: ამ დღეებში გარდაიცვალა წარმომადგენელთა არჩეული თ. რევაზ ერისთავი... აი, ახლა მეორესაც ახსენებს ეიფიქრე და სმენათ გადაეიქეცი... გთხოვთ დაასახელოთ კრების თავმჯდომარე, დააბოლოვა თავმჯდომარემ. ეს მეორე სადღაა? დააეწყდა, თუ დაივიწყა? დიახ, ერთი კვდარი კიდევ ჰყავს თელიისის ბანკს და თუ საჭირო იყო წარმომადგენლის გახსენება, აკრეთვე საჭირო იყო გახსენება იმ კაცის, რომელმაც 15 წელი იმუშავა ამ ბანკში და თავისი ახალგაზდობის დღენი აქ გაატარა. ეს გახლავს ივანე მაჩხელი. და აი, ამ მოღვაწის ასე ტრალიკულათ დაკარგვა სრულიად არ ვაიხსენა კრებამ და მის ხსოვნას ერთი სიტყვაც არ უძღვნა, თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო და კიდევაც მოხდაო... და ამით მან გვაძწრო თავისი მოქმედების პროგრამა, თავისი სული და გული, თავისი მოქალაქობრივი გრძნობა, ასეთია პირველი ნაბიჯი.

\*\*\*

ამას შემდეგ კრება შეუდგა ჯამაგირების მომატებას და საქველმოქმედო საქმეებისთვის შემწეობის დაკლებას. წელს 13,610 მანეთით მეტი გასაქმებული წარმოადგინეს, ბანკის მართვა გამგეობისათვის, ვინემ მარშან იყო. ამაში 2,400 მ. დაუნიშნეს პირადად თ. ილია ჭავჭავაძეს ბანკის 25 წლის მართველობისათვის. ბევრმა ესეც არ იკმარა, პენსია დაუნიშნოთ, პენსიაო, მარა რადგანაც პენსია და ჯამაგირი ერთათ მოუხსენებელია, ამიტომ პენსია შემდეგისთვის გადადეს. შემდეგ შემოიყვანეს ილია კრების დარბაზში მეორე ოთახიდან, ყველა წამოდგა და ტაშით დაუმტკიცეს თავისი უქვეშევრდომი ლესი ერთგულება. მარტო ილია კი არა, სხვებიც არიან, რომელნიც 25 წელიწადი ბანკში მსახურობენ — თქვა ერთმა. მარა მეტას-მეტათ აღფრთოვანებულ კრებას ამისათვის ყური არ უთხოვებია ეს მხოლოდ მეორე დღეს სირცხვილით გაახსენდა და ერთ ძველ მოსამსახურესაც მოუმატეს ჯამაგირი. ეს ჯამაგირების მოტრფიალეობა იმ ზომამდის ავიდა, რომ თ. ამილახვარი იძულებული გახდა ბოლოს ეთქვა: რა ამბავია ეს, ერთს სულ უმატე და უმატე, ხოლო მეორეს (საქველმოქმედო საქმეს) სულ უკელი და უკელი — აი, რას გვთხოვენო... ასეთია მეორე ნაბიჯი, — პირველის გაგრძელება.

\*\*\*

ამით დასრულდა მატების პროცესი და დაიწყო მოკლების. გამგეობას ფული აღარ მორჩა და უარი უთხრა შემწეობაზე 9 სხვა-და-სხვა დაწესებულებას, ამათ შორის არის ქართული დრამატული საზოგადოება, თელავის და გორის საქალეობო სკოლა და სხ. ამას არ დათანხმდა ზედამხედველი კომიტეტი და აპელაცია გადმოიტანეს კრებაში. ამ კითხვამ საზოგადოთ, დიდი ალიაკოთი გამოიწვია. ბ. ცხევაძემ ამტკიცებდა შეწყვიეთ მხოლოდ მცხეთის სობოროს, დანარჩენი ყველა მე ჩამაბარეთ სააზნაურო სკოლისათვისო. ბ. ნატროშვილი ამბობდა, მე ვარ მცხეთის ტაძრის განმანახლებელი კომიტეტის წევრი და გთხოვთ ფული რაც შეიძლება მეტი ჩვენ მოგვცეთო. ბ. ათაბეგაძე საკომერციო სასწავლებლისთვის ზრუნავდა, ბ. გურამიშვილი პარიკის გამოყენისათვის ერთი სიტყვით ჩააფრინდენ ბანკის მოგების ქისას და ყველამ აე-თავისკენ დაუწყო წევა, არა მე, არა შენო. ბოლოს მაინც ვაიმარჯვა ცხევაძემ — მისცეს 72 ათასზე მეტი. დანარჩენთაგან ზოგს



წერილ-წერილათ ჩამოურიგეს და ზოგ კი უარი უთხრეს. ასე დასრულდა ბრძოლა ფულების გამო და დაიწყო კენჭობა. აირჩიეს ისევ ის, ვინც იყვნ. ასეთია მესამე და უკანასკნელი ნაბიჯი თუილისის ბანკის წარმომადგენლებისა.

\* \*

ამ მეტის მეტ პროზაიკულ სხდომათა შორის, მოხდა ერთი პოეტური სხდომაც, რომელსაც კაი ხანია უტყვირთია ბანკისაგან ნადეიდარაბევი ხალხის გამხარულება და გართობა. „შეუძლებელ მოსწავლეთა თავად-აზნაურთა დამხმარე საზოგადოების“ ორშაბათის სხდომა არაფრათ განიჩივოდა შარშანდელი სხდომისაგან, გარდა იმისა, რომ წელს ხალხი ნაკლებათ დავსწრო და ამიტომ თაემჯდომარე უფრო თამამათ და უფრო გამუდმებით ლაპარაკობდა..

სხვა-და-სხვა ამბავი.

რადგან 29 მაისს წერაკითხვის გამაერცვლებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება არ შედგა, ამიტომ ის გადაიდგა ორშაბათ, 7 ივნისისათვის. კრება მოხდება სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დილის ათ საათზე.

თუილისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება გაიხსნა 30 მაისს და დასრულდა ორ ივნისს. შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებასა, კრებამ ხმის უმეტესობით საზოგადო ვაჭრობისთვის გადადებული ფული ასე გაანაწილა: 1) თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად-აზნაურო სკოლისათვის — 62,682 მან., 2) ცხეთის ტაძარს — 5000 მანეთი, 3) იმ კომიტეტს, რომელსაც მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს — 3000 მან., 4) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას — 1000 მანეთი, 5) რუსეთის გუბერნიების დამშეულთ — 500 მან., 6) პოეტის პუშკინის დაბადებიდან ასი წლის შესრულების სახსოვრათ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, გორისა და ცხეთის სასწავლებლებს — 1000 მანეთი. დანარჩენი 10,228 მანეთი 29 კაპ. სესხათ მიეცეს თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებათ. ხოლო სასოფლო-სამეურნეო თანხა ასე გაანაწილა:

- 1) 5100 მანეთი წინამძღვარიანთ კარის სკოლას,
- 2) 2,383 მ. — პოლიტენიკუმს, თუ იგი ტფილისში იქნება დაარსებული, და
- 3) დანარჩენი 15,448 მან 51 კ. სესხათ მიეცეს შეუძლებელ მოსწავ-

ლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებათ.

გარდა ამისა კრებამ გადადგა 1,000 მ. სტატისტიკური ბიუროს დასაარსებლათ თუილისის სამეურნეო საზოგადოებასთან. ამ ბიუროს საქიროების დასასაბუთებლათ კრებას მოხსენდა ზედამხედველი კომიტეტის წევრის ბ. გ. ქურულის „განმარტებითი ფურცელი“, რომელშიაც ავტორი ანუსხავს იმ მიუცილებელ საქიროებებს, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ სტატისტიკურ ცნობებს შეუძლია. იმედი უნდა ექონიოთ, რომ ამ დიდათ სასარგებლო საქმის განხორციელებას ენერგიულათ შეუდგებიან მისი ინიციატორები: უგანათ. თ. პ. გრუზინსკი და ბ. ქურული. ასეთსავე ბიუროს, რომ ქუთაისის ბანკიც დაარსებდეს მაშინ საქართველოს ორივე ნაწილის სტატისტიკური კომიტეტის საძირკველი ჩაყრილი იქნება.

კვირას, 30 მაისს, შემთხვევა გვქონდა შემდეგი სურათი გვენახა მუშტაიდში. აბრეშუმის სადგურის ასამდის მუშა ქალსა და ბავშს თავი მოეყარათ და ტირილით შეჩიოდნ გამელოელთ: ნააღვამევიდან დაწყებული გუშინ საღამომდე აბრეშუმის ქიას ეკვებავდით თუთის ფოთლით; ემუშაობდით დილის 6 საათ. საღამოს 10 საათამდე; ასეთი ხანგრძლივი შრომისათვის დანიშნული გვქონდა დღეში 30 კაპ. და ამ სამათხოვრო ქირასაც კი წესიერათ და თავის დროზე არ გვალისებდნ ხოლმე. აი ახლაც მუშაობა სულ გავათავეთ და, არ იქმნა, ქირის მოცემას არაფერი ეშველაო. („ივერია“).

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, უწმ. სინოდმა აკრძალა ეკლესიებთან საფლავებზე ძეგლის დადგმა და მათი შემოღობვა.

საფრანგეთის სამინისტრო, დიუბუის თაემჯდომარეობით, დაეცა. ახლა სამინისტრო ჯერ არ შემდგარა.

დღეს, კვირას, ნემეცების ბაღში დანიშნულია ქართული იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

„კვალის“ კორექსონდენციები.

ღანჩხუთი, ღანჩხუთი პირველ შეხედვებზე მდიდარ სოფელს წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც კარგათ ვაიციობთ, როდესაც კარგათ დაუახლოვდებით მას და გაიგებთ მის შინაგან მოძრაობას, დარ-



წმუნდებით რომ ის ღარიბია. გარდა სიმინდისა და ლამისა, აქ არაფერი ჭირნახული არ მაჰყავთ, და ეს უკანასკნელიც კი შრომა-ჯაფის ფასს აღარ იძლევა და ძველებურათ უხვათ აღარ მოდის. ერთათ ერთი სახსარი იმათი ტყე იყო და ახლა, არამც თუ ტყე-ში სამუშაო მოიპოვონ, ფულები იშოვონ და ოჯახს მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, არამედ შეშა და წყნელიც კი ენატრებათ საოჯახოთ. — მიუხედავთ ზემო თქმულისა აქაური მცხოვრებნი მეტათ თანამგრძნობნი და მიმბაძველი ხალხი არიან ყოველ კეთლ საქმეში. თუ კი ვინმე გამოჩნდება და სასარგებლო საქმეს დაიწყებს, ისინი მაშინვე მხარს დაუჭერენ იმ საქმეს და წმინდის გულით თანაუგრძნობენ. მაგალითათ, უწინ აქ მეაბრეშუმეობა მეტათ დაბლა იდგა, მაგრამ, როცა ხალხმა დაინახა იმისი კეთილი მნიშვნელობა, რამდენიმე პატროსანი პირების მეოხებით, ყველა სიხარულით შეუდგა შრომას და სულ მოკლე დროში ძრიელ კარგათ გააურცველეს იმისი მოყვანა, თითქმის იმ პირებმაც კი, რომელთაც დღემდის სირცხვილათ მიაჩნდათ ეს საქმე. ახლა ისეთ ოჯახს ვერ ნახვთ ლანჩხუთში, რომ აბრეშუმის ჭა არ ჰყავდეს, და თავგამოდებული არ შრომობდეს. ამასთანავე არა-სასიხარულო მდგომარეობაში არიან აქაური აზნაურნი, იმათ მარტო ჩამომავლობითი ღირსება შერჩენიათ ხელში, ტყე და მამული ბევრ იმათგანს ჩამოერთვა და ნიეთიერთათ მეტათ დაქვეითდენ. ცხოვრებამ იმათაც დაჰკრა თავისი შეუბრალებელი დალი და, ძალა უნებურათ, უკან დაახევია. თავადობა აქ არ იმყოფება, მხოლოთ სასულიერო წოდება კი საკმაოთ ბევრია. ისინი მარტო თავის ჯიბეზე ზრუნენ, თვარა ხალხის საკეთილდღეოთ არ იწუნებენ თავს. აქ ეკლესიები ძრიელ ღარიბათ არის, მაგრამ იმიტომ კი არა რომ შემოსავალი არ ჰქონდეს, არამედ უზრუნველობით და უყურადღებობით. უმნიშვნელო დღესასწაულები ერთობ ბევრი იციან. ჩემი აზრით, სანამდის აქაური მცხოვრებნი თავს არ დაანებებენ ამნაირ უმნიშვნელო და საზარლო საქმეებს, არ განვითარდებიან ეკონომიურათ და კარგათ არ გაიციონენ თავიანთ თავს, მანამდის მათი ცხოვრების გაუმჯობესება და სასურველ ნიადაგზე დაყენება ყოველად შეუძლებელია.

**გ. თებროშვილი.**

**სოფ. საჭილაკო,** (სენაკის მაზრა). მდინარე ცხენის წყალი სოფელ საჭილაკოს ჰყოფს ორ ნაწილათ. პირველ გამოღმას, ესე იგი აღმოსავლეთის მხარეს, უძახიან ილორის საზოგადოებას და მეორეს, გაღმითდასავლეთისას, ჰქვიან მარნის საზოგადოება. ამ ორივე

საზოგადოების მკვიდრთ შეადგენენ ყველა მთელსა ხალხი გარდა თავადისა. ეს სოფლები თუმცა ბუნებრივათ არიან დაჯილდოებული, მაგრამ ნამეტან სზანტეს მიჩვეული ხალხი თითქმის გადაშენების გზაზე დგას. რამდენიმე წლის წინათ ბუნება ისე უხვათ აძლევდა მოსავალს აქაურებს, რომ ცოტა შრომით გლენჯაკობას აქ ადვილათ შეეძლო თავის დარჩენა, აზნაურებს მით უმეტეს სულ უშრომლათ მოუყიდოდათ თავის ოჯახში ყოველ ნაირი მიწის მოსავალი; მხოლოდ საჭირო იყო ლუარსაბური გადაძახ-გადმოძახება თავის ხელქვეით ყმებზე. მაგრამ დროთა ეითარებამ ეს უფასო მშრომელი ხელიდან გამოაცალა და იძულებული გახდა ჩვენი ბრძანებლები თავის თავს ყმათ დადგომოდენ. შრომის არა ჩვეულებრივად დასაკვირველია დიდს ზაზლით შეეცებებოდენ მათვის ახალ ცხოვრებას, ეს მათვის მართლაც სამწუხარო მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ რა უნდა ექნათ, ბედის კმაყოფილი უნდა გამხდარიყენ; და ასეც მოხდა: ჩვენი განვითარებული აზნაური შეება ცხოვრების მძიმე უღელში და უნდოდა ქვეყნის შესახედავათ გაეწია მძიმე ტვირთი და მაშინ იგრძნო რა კარგი ყოფილა სხვისი მარჯვენით თავის გატანა ცხოვრებაში, იგრძნო რა დიდი გასაჭირი ყოფილა ადამიანის ცხოვრება თავისი შრომით. ის იძულებული შეიქნა გაეყიდა თავისი მამული და ამითი თავი ისევე ბატონურათ ერჩინა. თავის სარჩენათ მან ვერავითარი საღსარი ვერ ჰპოვა გარდა ფულისა, და ფული მამულის გაყიდვამ მისცა, მან სხვა საშუალება ვერ იშოვა ცხოვრებაში. სე უკლო თავის მამულს და ბოლოს მივიდა იქამდე, რომ თავისი მამულ-დედული გამოეცალა ხელიდან, მხოლოთ აზნაურობა კი დარჩა. ზოგი მამული ბანკმა ჩიკლო თავის ბრჭყალებში, ზოგი კი მისმა ნაყმეებმა შეიყიდა. სამართალი უკუღმა მობრუნდა, შრომანდელი აზნაური და მემამულე წელს მხოლოთ აზნაურათ დარჩენილა, მემამულის სახელი გაქრობია და ღარიბი აზნაურის ტიტული მიუღია.


ახლა თავის თავათ იბადება კითხვა, აბა რისი მომქმენდნ არიან იქაურა მკვიდრნი? რისი და დევგმირობის იმათ ხელობათ გაუხდიათ ეს სამარცხენო საქმე, შეიკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფათ ან სამიკიტნოში ან სადმე ოჯახში და ამაზე აქვსთ მსჯელობა, აბა ხვალ ვინ უნდა გახადონ მათი ხმალ-ხანჯლების მონა. ამ მიზნის მისაღწევათ თითო რომელიმე დღეობა აქეთ დანიშნული. ეს ეპებატონები, ამ დანიშნულ დღეებზე ამხედრდებიან თავის მოზასრე პარტიით და ვაი იმის ბრალი ვისაც ჩაიგდებენ ხელში... თუმცა საზოგადოთ ამისთანა კრიზისია დამდგარი საჭილაკოში, მაგრამ არ შემოძლია არ აღენიშნო რამ-





დენიმე პარტიოსანი პირი მაგ. არიან კორძაიები, ნანეი-  
შვილები, მაგრამ მათი რიცხვი, ძალიან მცირეა. სხე-  
ვბა რომ მიბადონ იმათ კაცობრიულ ცხოვრებას და  
დაუკვირდენ ახლანდელ ცხოვრების ჩარხის ჭრიალს,  
თუ არ უნდათ, რომ ცხოვრებამ გააქარწყლოს  
იმათი სახელი, კარგს იზამენ, იმედია ეს მცირე ნა-  
წილი შეგნებულთა, იზრუნებს სამკითხველოს გახ-  
სნაზედაც. პატარა სოფლებში აქვსთ სამკითხვე-  
ლოები და ამისთანა დიდ საზოგადოებაში, როგორც  
არის მარნის და ილორის საზოგადოება, სირცხვილი  
არ არის, რომ ასე გულ-გრილათ ეკიდებოდნენ გო-  
ნებრივ განვითარებას! მარნის საზოგადოებაში იქაუ-  
რი მასწავლებლის შრომით თუმცა იყო ღარიბი სამ-  
კითხველო, მაგრამ მასწავლებლის სხვა ადგილზე გა-  
დაყენის შემდეგ სულ გამოცარიელდებულა. იმედია  
ამ სოფლის მასწავლებლებიც თანაუგრძობენ ზე-  
მოხსენებულ პირებს.

ბ. ილორელი.



ქუთაისის ბანკის კრება.

მარის 31 დაღა და განსაკითხველ დარბაზისაკენ  
გავეშურე. ბრძოლის წინა წამი მეტათ მშვიდობიანი  
იყო, საერთო ღუმელი „დიადი“ შინაარსის შესაფალი  
შეიქნა და ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის  
ნელი და სუსტი ხმა გაისმა: „იმედი მაქვს ამ კრებას  
ნათლათ აქვს შეგნებული თავისი ინტერესები, ბანკის  
სერიოზული მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრებისათვის ჭ  
ამიტომ ვიწრო, პარტიული შეტაკების მაკიერ ფარ-  
თო და მოუღრეკელი მსჯელობის მოწამე გავხდებით,  
ახლა კი გთხოვთ თავმჯდომარე ამოიჩიოთო. აქ  
მშვიდობიანობა დაირღვა და საზოგადო ხრიალში,  
მხოლოდ ორი ადამიანის გვარილა რსმოდ: ბ. ლო-  
ლუა და სიმონ წერეთელი. (მესამე კანდიდატმა ბ. ქი-  
ქაძემ უარი განაცხადა). მაგრამ ქუთაისის „ბრწყინ-  
ვალეთა“ წარმომადგენელთ თავისი საყვარელი სიტ-  
ყვის თქმაც არ დაუგვიანებიათ. „კენჭიო!“ იძახოდნენ  
ბ. ჩიკვაძისთვის გალომებულნი წარმომადგენელნი;  
„ერთხმათ წერეთელიო“ ყვიროდა მისი მოწინააღმ-  
დევე და ამ ხრიალში „უძლეველი“ კალისტრატეს  
ენერგიული ხმაც მოგვესმა: გთხოვთ, ბ. თავმჯდო-  
მარე, წესიერება დაიცვათო; როგორც ხედავთ ბ.  
დუმბაძეზე არავითარი გაფრთხილება არ მოქმედებს,  
რიგანობა ვერ დაუტყია.— „Я прошу предводителя  
Шайки замолчать, გაისმა ბ. დუმბაძის მხედრული კი-  
ლო და ამ სიტყვებმა მხედართა შთამომავლობაც  
ააღლევა, ააშფოთა: როგორ თუ ჩვენ „Шайка“-ს გვე-  
ძახიანო. მაგრამ „კენჭი“ მაინც არ დაეწყებიათ.

„კენჭი“ ყველას გაგვასწორებს, ყუთები ჩქარაო.  
დაუყონებლივ ყუთები დადგეს და ჩვეულებრივ სა-  
ყვარელ საქმეს შეუდგენ. კენჭებიც შემოვლიათ და  
თვლას შეუდგენ. ყველანი გაფითრებული შეცქერო-  
და საოცარი საიდუმლოების გამომჟღავნებას, ბეჯი-  
თათ ადვენებდნენ თვალ-ყურს თვითთვეულ რიცხვს.  
შედევნი ამნაირი იყო: თ. სიმონ წერეთელს მოუვიდა  
111 თეთრი და 86 შავი (თავ. წერეთლის თეთრ  
ყუთზე ზევით ორი კენჭი იპოვეს). ბ. ლოლუას — 100  
თეთრი და 97 შავი. ოპოზიციის ტაშის ცემამ უც-  
ბათ გამოგვაფხიზლა, გამოგვარკვია და კარებისკენ გა-  
მოვსწიე. წარმოიდგინეთ ორივე „პარტია“ დაღერემი-  
ლი გამოდიოდა დარბაზიდან: ერთი წუხდა გაშაფე-  
ბას, მეორე კი იმას გოდებდა ძალიან მცირე რიც-  
ხვით გავასწარიოთო. ეს ცუდი ამბის მომასწავებელი-  
აო, გადმომილაპარაკა ერთმა ოპოზიციის „პიიკმა“,  
მეც კვერი დაგვარი და გავშორდი. 1 ივნისის კრე-  
ბაზე ყუთები აღარ ჩანდა. სიტყვიერი კამათი გაი-  
მართა და პირველი მოკამათე ა. ნანეიშვილი იყო.  
მან თქვა: გამგეობის მოხსენება რეზიუმე უნდა იყოს  
ბანკის სამეგობის მდგომარეობისა მთელათ და ამიტომ  
მოხსენებიდან დაეწყებო. გამგეობის აზრით 36 წლის  
და 48 წლ. სესხის გაცემა დაგიანდა იმის გამო, რომ  
გუბერნიის მმართველმა მოხსენება გაგზავნა, რომლი-  
თაც თხოულობდა წარმომადგენელთა შემოღებას,  
საზოგადო კრებების რეორგანიზაციას. მე კი ვფიქ-  
რობ რომ უმთავრესი ბრალი აქ გამგეობას ედება,  
რადგან 1890 წ. დაადგინეს ამის შესახებ ვიშუამ-  
დგომლოთო, მხოლოდ შუამდგომლობა 1893 წ.  
დაიწყო. რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში გამ-  
გეობაო. სხვა რამდენიმე ბრალდებასთან ერთათ ეს  
იყო უმთავრესი ბრალდება, რომელსაც ოპოზიცია  
დებდა გამგეობას ჭ რომელმაც, ამის მიზეზათ ის წა-  
მოაყენა, რომ იმ ხანებში დიდი არეულობა იყო და  
საქმეების გაკეთებას ვერ ვახერხებდითო. თ. ნიკო  
თავდგირიძე რომ სიტყვის სათქმელათ წამოდგა დიდი  
კიჟინი ატყდა იმის შესახებ, თუ საით ქნას პირი  
ორატორმა, თავმჯდომარისკენ, თუ კრებისაკენ, ბო-  
ლოს მაინც თავისი გაიტანა მოუსვენარმა ნიკომ და  
საზოგადოებას მიმართა. ბევრი ილაპარაკა, თფილისის  
და ქუთაისის ბანკის ერთმანეთთან შედარებით უკანას-  
კნელის უფარვისობის დამტკიცებას ცდილობდა, მხო-  
ლოდ უმთავრესი დედა აზრი მისი სიტყვისა ის იყო,  
რომ ჩვენ საზოგადო საქმეს გულგრილათ ვეკიდებით  
და საჭიროა უფრო გულმოდგინეთ მოვეყაროთო.  
როგორც სამართლიანათ შენიშნეს, მის სიტყვაში დარი-  
გება უფრო მეტი იყო ვიდრე რიგიანი საბუთიანობა.  
სულ სხვანაირათ მოიქცა ბ. დავით ხელთუფლიშვი-  
ლი; დარიგება არ უკისრნია, მხოლოდ საქმის ვითა-






რების გამოკვეცვა კი და მართლაც ღინჯათ საბუთი-  
ანთ არკვევდა ბანკისთვის კონვერსიის მნიშვნელო-  
ბას, რომლის არარობას იმდროსთვის ამტკიცებდა  
ბ. ფალავა. კიბა აბაშიძის აზრით საზოგადოების შეუ-  
რაცყოფა გამგეობის ის საქციელი, რომ მისი მოხსენ-  
ება გვარებიტურთ ერთათ მპ სტრიქონს შეიცავს,  
მაშინ როდესაც იმავე საგანზე თეილისის ბანკის გამ-  
გეობამ 80 გვერდიანი მოხსენება წარმოადგინა. ამათ  
შემდეგ სიტყვა კ. ჩიკვაიძემ ირგუნა და ხანგრძლივ  
ილაპარაკა. შეენო ყველაფერს, ასე რომ მისი ვალ-  
მოცემა, გამოგიტყდეთ, მკითხველო, მეძნელება;  
მხოლოთ საკვირველი ის არის, რომ ბ. ჩიკვაიძე  
არწმუნებდა საზოგადოებას, რა რომ მე შევვლი  
ფენი ბანკში, შემოსაველმა იმატა, გასაველმა იყ-  
ლო, მაშინ როდესაც რევიზორის ანგარიშიდან ვი-  
ციოთ, რომ თავათ ამ დროადან ყოველ წლიური ზა-  
რალი ბანკს 18 ათასი მანეთი აქვს. ან კი რა ფუ-  
ლი ჰქონდა ქუთაისის ბანკს რომ დაარსდაო, ბრძა-  
ნა ბ. ჩიკვაიძემ, სულ 400 ათასი მანათი იყო; ეს  
იმისთანა თანხაა, რომელიც „როსკოვის კუპცის  
შეილს“, ერთ წელიწადს სახარჯავათაც არ ჰყოფნი  
სო. მახლას! დასასრულ ნანეიშვილმა მიმართა იქ  
მჯდომ ბანკის დირექტორებს და შეეკითხა: გეკით  
ხებით, როგორც პატიოსან ადამიანებს; აზარალა  
ბანკს კ. ჩიკვაიძემ, რომელიც მე მწამებს ბანკში  
არ დადისო, თავის სასამართლოებში სარულით თუ  
არა? საზოგადოება პასუხს ითხოვეა, მხოლოთ პა-  
სუხი მანც არ არგუნეს.

ეს არის მოკლეთ ამ ორი კრებიდან გამოტა-  
ნილი შთაბეჭდილება. საგნის გარკვევა და ბრძოლა  
მეტი მოელის ორსავე მხარეს. მხოლოთ ახლავე  
შეენიშნავე შემდეგს: რამდენათ ცხადია ის რომ კ.  
ჩიკვაიძეს გამგეობიტურთ ურიკოთ უწარმეობათ  
ბანკის საქმეები, დამნაშავეა თითქმის ყველაფერში  
რაშიაც ამტყუნებდენ და ამტყუნებენ დღესაც, რომ  
მას არ ძალუძს თავის იაფი ფრაზებით გამოისყიდოს  
თავისი ცოდვა და გარდინოცოს ის ზნეობრივი ჩარ-  
ქი, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში მის-  
ცემია, იმდენათ ცხადია, აგრეთვე ის რომ ოპო-  
ზიციას სრულიად არ ძალუძს რიგიანი კრიტიკით  
დახედეს ამ უწესოებებს, ამდენი ხანი უფრო მეტი  
ლაყბობისთვის მოუწოდებდით, ვიდრე საქმის რიგია-  
ნათ შესწავლისათვის, მას არაეითარი პარტიული ტა-  
ქტიკა თან არ ახლავს და ამიტომ საკვირველიც არ  
არის რომ ორივე მხრის მიერ დავრჩე

ბანკიტყული.



ნ ა წ ე მ ე ტ ე ბ ი .

II.



ვალეს ვანკამბ,  
გმიკებს დაკეპე  
და სელთ მიპყრია მკაცრი საყვიარი, —  
ცას შეკლადეპე,  
მადლა გაცხადეპე,  
მაცრამ აძათ! ახსად ჩანს გმიკი,  
—  
რამ მხარე მომკეს,  
ახსად გაქქეს  
და შეკრთებულ ძალით და ღონით  
ავიდოთ საჭე,  
დრო ვაპყრათ მარჯვე  
და უგნებულათ გავიდეთ ფონით!..

კვტრეტ ადამის შეილს,  
ბუდით გამყოფილს,  
სხეულით, ლეშით გალადებულს,  
თვალთა ბრძალით,  
მხეტებრ დრძალით  
ამ ქვეყნათ ყველგან თავ აღებულს!..  
—  
ის რას აქ ჩადის...  
ამყათ დადის,  
იმას სულეველგან მიუხარას;  
მაცრამ საწყალი  
და შესაბრძლი  
თავისთვის ცოცხლობს, სხვისთვის კვდარას!..

შმაგობს გონებას,  
ან კომანებას  
ამ გვარ წესს, კაცოზან დაჯანკებულს!  
მძავს თვით სიცოცხლე,  
ჩემი თანა-მსლე,  
რას ვსედავ ვაცხს განიფრტყეპეულს!..  
—  
და ვნატობს სიკვდილს,  
ცელ-ხმად ამოწვდილს, —  
სამარე მიჯობს მე ამის ცქქრას!  
დაისშობს გმნობას,  
მიმედოს ცნობას —  
ჯობს სეკლით მოცულ გლას-გულის მტეკას!..

—  
მაცრამ... რას ვამბობს!..  
სიმარკეს ვამბობ



თვითონ მე ჩემგან აშენებულას!  
 გულს გამაგრდა,  
 გმძნობაჲ, ამაღლდი!  
 ფრთას ნუ შეიკვეცე გამაღებულას!..


—

იმკე მსხვილი  
 წვეკ-წამსხვილი!  
 კვეკეთ მტკნას — იმ ადამის შეიღს!  
 დროს ამატეთ  
 და გაუძიეთ.  
 ბრძოლა გაცხს, შეკუნათ განსწწნიღ-დაღუქიღს!..

—

და გწწამდე — ერთხელ,  
 თუ ხშირათ ამხელ,  
 მსხუე ცა რისხვით მთიბინდეა!..  
 და, თუ ხანს ატლი,  
 ეს შენი ღვაწლი  
 გწწამდე ღიწსებით დაგვიტკვიინდეა!..

დ. თამაშვილი.



ბ. ნა — ლის „საღიტიერატურა“ ნიმუშები.

ბ. ნა — ლი არ ცხრება. ის მართლა იმეორებს თავისსავე ისტორიას, აგრძელებს უცაბედათ დაწყებულ ამბავს. მოგეხსენებათ რაში მდგომარეობს ეს ამბავი. ის ჩვენ „კეალის“ მეოცე ნომერში გამოვაფინეთ და მით ბ. ნა — ლი ვაგაჯაერეთ, როგორც თუ ჩემი ნაკლებუღეანება გამოამეღაენსო. დიან, ბ. ნა — ლი ძრიელ გამწყრაღა, გაკაპასებულა და თავისი უკანასკნელი „ღიტიერატურული შენიშენები“ („მოამბე“ № 5) მთღათ ერთიანათ ლანძღვა გინებით აუღსიღა, „ცულ-ღლუტნო“, „ბიწიერნო“ და სხ. და სხ. — აი რათ არის შეზავებული მისი „პასუხი“. და მერე რა პასუხი — არ იკითხავთ? თავის გასამართლებელი კი არა, (და ან საიღან შეეძღლო თავის გამართღება) არამედ თავის გასამტყუნებელი. ეს გახღაღეს საბრღმღებეღო ოქმი დაწერიღი ბ. ნა — ლის მიერ წინაღღმდეგ ბ. ნა — ლისღა. რაც მან „მოამბის“ მეოთხე ნომერში გამოთქღვა, ერთიანათ არღეღეს „მოამბის“ მეხუთე ნომერში! აი სწორეთ „შრომაღც“ ამას ჰქღვიღ. მაშ გავაცნოთ ჩვენ მკითხვეღებს ეს ბ. ნა — ლის თავის თაღთან ბრძოღღა.

ბ. ნა — ლი ჩვენ დავიჭირეთ ერთ დიდ გაუღებ-რობაში და ორ დიდ ტყუიღში. პირვეღში ურ-ჩობს, მეორეში მუღჯობს, ხოლო მესამეში ბოღდი-შობს. დავიწყოთ პირვეღიღან. ბ. ნა — ლის გაუღებ-რობა ის არის, რომ ვერ გაუღჩეღვიღ კლასების გან-წყობიღება საზოგადოებაში. მისი აზრით რაკი თაღად-


აზნაუღრია — უთუღოთ მას სოფელში უღდა ჰქონღეს მამუღები და არა ქაღაქში. ნამღეღღათ კი ქაღაქებ-პირვეღღათ უფრღოთ თაღად-აზნაუღრობის მამუღებო-გან შეღდეგბა, ხოლო შემღდეგ ამ მამუღებს ბურღეღუზიღ იღენს. ასე დავმართა ქუთაისსაც. ამ 15 წლის წინეთ აქ თაღად აზნაუღრობის მამუღები ჰარბობღენ, მარა შემღდეგ ნეღ-ნეღღა აღორძინღენ ახალი კლასები და ეს მამუღებოც შეიკიღღეს, სულ მთღათ თუ არა, უღდი-ღესი ნაწიღი მინც. ამ შეღძენის, ამ მობიღიზაციის საუ-კეთესო იარაღი ბანკიღ. ბრწყინვეღღე წოღდებაღმ დაიარ-სა ბანკი, დააგირავა შიგ, როგორც სოფლის ისე ქა-ღაქის მამუღები, ბოღღოს ვერ გაღაინაღღა ვალი და დაგირავებუღიღც ხეღიღან გამოეცაღღა. აი ამაზე წერ-ღა გ. წერეთელი: თაღად-აზნაუღრობამ აზარაღღა ბანკ-სო. ხოლო ბ. ნა — ლმა ეს, ჩეღუღებრიღვათ, ვერ გაი-გო და დაიღახა: თაღად-აზნაუღრობამ კი არა ქაღაქმა აზარაღღაო! და როცა ჩვენ აეღუსენით ქაღაქშიღაც აქეს მამუღი თაღად-აზნაუღრობასო, იმან პასუხათ გე-თხრა: გ. წერეთელს ქაღაქი არ ჰქონღებღიღ მხეღდე-ღღობაშიო. საბუთი? საბუთი თურმე უღებარღიღ, მარა მე დამიმაღღავს. აი ეს ვითომ და გაღამაღღული საბუთი: „ბანკს ჩარჩი დაღინებღის, გეღღოღანებღის, მაჩაღბღების, ერისთეღების და სხეღა მრავალი თაღადიშეღიღების მამუ-ღები“ — თქღვა გ. წერეთელმა. „მოამბის“ მეოთხე ნომერში ბ. ნა — ლი წერღ: ყვეღა ეს „მტკნარი ტყეღი-ღიღო“ (გვ. 57) ხოლო ახღღა წერღ, რომ ყვეღა ეს მართა-ღიღო (49 გვ.). ე. ი. ბანკს მართღღა დარჩა მამუღებო, მარა ის სოფლის არის ღღ არა ქაღაქისო. მერე ვინ თქღვა, რომ ის ქაღაქის არისო? გ. წერეთელი წერღღა საზო-გადღოთ გაეღღენიღან თაღად-აზნაუღრობაზე, ბანკში მას ჰქონღდა უპირატესობაო. ხოლო მას დაგირავებუღი ჰქონღდა, როგორც სოფლის ისე ქაღაქის მამუღი. ბანკს დარჩა ორივე რიღის მამუღები და ამიტომაღც უმატებს გ. წერეთელი: „კღდეგ სხეღა მრავალი თაღადიშეღიღების მამუღებო“. ხოლო ამათ შორის ქუთაისის მამუ-ღებოც ურღეღიღ. მარა, რაღას ვაგრძეღებთ. თეღითონ ბ. ნა — ლი აცხადებს წერიღლის ბოღღოს „როცა თა-ღად აზნაუღრობას იხსენიღებენ ხოღღმე — განსაკუთრებოთ სოფლის მიწათ-მფღობეღი წოღდება ყავთ წარმოღღე-ღიღი და არა ქაღაქისო“. და ასე, ის ვერ მიხეღდა და ვერა, რომ ეს ღღეს არის ასე და არა ყოვეღღთეღის. და როცა ჩვენ ციფრებოთ დაეუმტკიღკეთ წინაღღმღე-ღი, როცა ჩვენ დაეღანხვეთ, რომ ქუთაისის თაღად-აზნაუღრობას მეტი მამუღი ჰქონღდა დაგირავებუღი, ვინემ ვაჭარ კლასს, მაშიღ ვეღარაფერი მოუღჩერხებღიღა სათქმეღღათ გარღღა იმისღა, რომ ქუთაისში მიწა კი არა, სახღებოც არისო! დიანაც რომ არის, მარა „ღროე-ღის“ იმ ნომერში, რომეღიღც მე ვაჩეღენე, მხოლოთ მიწის ზომაღა გამოცხადებუღი და არა სახღების ღი-



საქართველო  
საბჭოთაო

ქვემოთ — ახლად აღმოჩენილი ძველი რელიეფი — თბილისში  
საქართველოს იმერეთის მხარის სანჯიქის მხარის იმერეთის


სახლიდან მდებარე ცხელი წყლის  
სანჯიქის მხარის



სადლაქო საათარეთში.

სადლაქო საათარეთში. სადალაქო საათარეთში. სადალაქო საათარეთში. სადალაქო საათარეთში. სადალაქო საათარეთში.





რებულობა. და მეც შესადარებლათ ეს ნამდვილი ზომა ავიღე და არა ფანტასტიური. ეს უკანასკნელი ბ. ნა—ლისთვის დაგვილოცნია. საზღაპრო საბუთების ხმარება მისი ხელობაა.

ბ. ნა—ლი ამითაც არ ჯერდება და ჩვენ მიერ მოყვანილ ცნობას ერთიანათ ცვლის და ამ მისმიერ მოჩმანხულს ჩვენ გვაწერს. აი ნიმუში იმისი, თუ რა-ნაირ კეთილ-სინდისიერათ მოჰყავს მას მოწინააღმდეგის აზრი: ჩვენ ვწერდით: „მაშინ როდესაც ეს 50 გასაყიდი მამული (ვაჭარის, მოქალაქის და გლეხის) შეიცავს 17 ათასამდე ოთხ-კუთხ საყენს, თავად აზნაურობის 49 კი 25 ათასს აჭარბებს.“ („კვალი“ № 20 გვ. 323). ამას ბ. ნა—ლი ასე ასხვადფერებს: „49 მამული თავად-აზნაურისა შეიცავდა 17 ათასამდე ოთხკუთხ საყენს, ხოლო 50 მამული ვაჭართა, მოქალაქეთა და სხვათა — 25 ათასს ოთხკუთხ საყენს!“ (გვ. 50). აი ტყვილებიც ასეთი უნდა! აბა მოდი და ამას შემდეგ ვნდეთ ბ. ნა—ლს. და ასეთი კაცი სხვის კეთილსინდისიერებაზედაც ლაპარაკობს!

წავიღეთ ქვევით. ბ. ნა—ლი „მოამბის“ მეოთხე ნომერში წერდა; „კვალი“ ქუთაისის ინტელიგენცი-აზე აერცვლებს იმ „ჭორს“, ვითომ მან „მოახერხა, რომ ბანკის წევრთა უფლება ჩამორთმეოდნენ — პირდაპირ მონაწილეობა მიეღოთ ბანკის საქმეების მოვლა — მარტოაშიო“ (გვ. 71). ჩვენ ვთქვით: ეს ჭორი კი არა სრული ჭეშმარიტებაა და ეს დავამტკიცეთ თვით ბ. ნა—ლის სიტყვებით. და აი, ახლა ბ. ნა—ლი თავის პირით აღიარებს: „დიდო, ოპოზიციას უნდოდა წარმომადგენლობა შემოეღო“ (გვ. 39). ამაზე მეტი თავის თავის უარის ყოფა კიდევ შეიძლება? 1896 წ. ის წარმომადგენლობის შემოღებას ქადაგობს. („H. OB“ № 4305). მერე ეს ავიწყდება და 1898 წ. აპრილში თავისი ქადაგი „ჭორათ“ გამოაქვს, ხოლო მისში კი ესეც ავიწყდება და „ჭორს“ ნამდვილათ აღიარებს. აი ასე ხტუნაობს ბ. ნა—ლი სალიტერატურო ასპარეზზე. და ვანა ღირს ასეთ პირთან კამათი? ვანა აქ არის რაიმე ლიტერატურული წესი დაცული? მან ჩემი სიტყვების გადაბრუნება არ იკმარა, და კიდევ უფრო გასაშტერვლათ აბრუნებს თავის სიტყვებს. რასაკვირველია, ვისაც თავის პატივის ცემა არ აქვს, სხვის პატივისცემას ვეღარ მოვთხოვთ და ამიტომაც ასე უშვერათ ილანძლება ბ. ნა—ლი. და ასე ბ. ნა—ლს ან ლანძღვით გააქვს და ან სხვისი და თავისი სიტყვების გადამახინჯებით. მოვიყვანთ კიდევ, რამდენსამე ნიმუშს ბ. ნა—ლის დასახასიათებლათ.

ბ. ნა—ლს განსაკუთრებით ნ. ჟორდანიას აუთვალწუნებია. „ამ მწერალს, ბრძანებს ჩვენი დეე გმი-რი, სწორეთ დიდი ცოდვა-დანაშაული მიუძღვის მწერ-

ლობისა და საზოგადოების წინაშე და არც ერთი ცოდვა-დანაშაული შესანდობარი არ არის, — ჯერ-ჯერობით მაინც“ (გვ. 35). ასე და ამა პირსა ზედა! ჯერ-ჯერობით არა, თვარა მერე კი შეიძლება ვეპათოსო! ანუ, გასაგებიათ რომ ვთქვათ, ბ. ნა—ლი და კამპ. არ აპატივებს, ხოლო მომავალი თაობა კი. ესეც დიდი ნუგეზია, ბ. ნა—ლო, და ამის მეტს მგონი არც ნ. ჟორდანიას მოელოც. და მერე რაში მდგომარეობს ამ მწერალის „ცოდვა-დანაშაული“? რაში და ქუთაისის „ჭეშმარიტი“ ინტელიგენციის საქმეს და სიტყვას კრიტიკულათ შეეხრა და ამათ შორის, რასაკვირველია, ბ. ნა—ლსაც. აი რა მომაკედინებელი ცოდვა ჩაუდგინა! ეს თავის სიტყვების უარისმყოფელი ბუმბერაზი ჟორდანიას იმას უკიყინებს, რომ წარმომადგენლობის შემოღებას რატომ მარტო ოპოზიციას აბრალებს და არა ჩიკვაიძესაცო. „ისიც (ჩიკვაიძე) ხომ ცდილობდა წარმომადგენლობა შემოეღო!“ ცხადია, ბ. ნა—ლს სრულებით არ ცოდნია ის საგანი, რაზედაც ასე თამამათ წერს. ჩიკვაიძე წარმომადგენლობის შემოღების წინააღმდეგი იყო და აი საბუთები: 1) 1893 წ. ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ მიიღო თ. კ. ლორთქიფანიძის წინადადება წარმომადგენლობის შესახებ. მარა ამ გადაწყვეტილებას ბანკის გამგეობამ მსვლელობა არ მისცა, ცხადია იმიტომ რომ მას არ თანაუგრძნობდა. 2) 1894 წ. 20 იანვარს მომხდარ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე, ის წინა აღუდგა ამ კრების მიერ შუამდგომლობის აღძვრას წარმომადგენლობის შესახებ. („ივ.“ 1894 წ. № 25). კრებამ მაინც აღძრა ეს შუამდგომლობა და ქუთათური კორესპონდენტი „ახ. მოამ.“ ამ პროექტს იხსენიებს როგორც ოპოზიციის ნაღვანს (იხ. 26 იანვრის ნომერი 1894 წ.).

ასეა საქმე. ხოლო სიტყვით რასაკვირველია, ჩიკვაიძე ბოდის იხდის ვახეთში, მეც თანაუგრძნობდი წარმომადგენლობის კანონ-პროექტსო („H. OB.“ 1897 წ. № 4733) და ესეც მაშინ, როცა ეს პროექტი სამინისტრომ მოიწონა. მარა ეს უბრალო სიტყვებია, თავის მართლებათა და ამით ბ. ნა—ლს თუ მოატყუილებს თვარა სხვას ვერაფერს. საკვირველი ის არის, რომ „მოამბის“ მეოთხე ნომერში ბ. ნა—ლს მოჰყავს ეს გარემოება სწორეთ ისე, როგორც ჩვენ მოგვყავს და ჩიკვაიძეს ბრალსა დებს წარმომადგენლობაზე არ იზრუნაო (გვ. 63), ხოლო ახლა ეს დავიწყებია და უსირცხვილოთ აცხადებს: ჩიკვაიძე წარმომადგენლობაზე ზრუნავდაო. ერთი მითხარით, დაეჯერება რამე ასეთი ოინების ჩამდენს?

აღნიშვნის ღირსია ერთი გარემოებაც: ქუთაისში ჩიკვაიძე იყო წარმომადგენლობის წინააღმდეგი, ხოლო თფილისში კი თ. ილია ქვექვაძე („ივერია“



1894 წ. № 11, მეთაური წერილი). ე. ი. ორივე სათავად-აზნაურო ბანკის მართველნი პროექტის წინაღმდეგი იყვნენ. ხლო ბ. ნა — ლი კი 1896 წ. წერდა: „Никто не думалъ и не думаетъ возражать въ принципѣ противъ введенія ихъ!“ ასეთ ოთურმას თამაშობს ბ. ნა — ლი მთელ თავის წერილში.

აი კიდევ ერთი ნიმუში. „კვალი“ უსაყვედურებდა ოპოზიციას, რომ ბანკის მოსამსახურე პირთა ამორჩევითი უფლება შეაფეროებინაო. ეს ბ. ნა — ლს ასე გადაუყვებია: „...ეგ წარმომადგენელობა დიხანაც იმას კი არ ნიშნავს, რომ მათი უფლება ვინც წარმომადგენელებს რჩევს. უსათუთ შევიწროებული უნდა იყოსო“ (გვ. 46). და მერე ვინ თქვა ეს? „კვალი“ ამბობდა არა წარმომადგენელის არჩევის უფლებაზე, არამედ ბანკში პირდაპირ მონაწილეობის და ბანკის მართველთა არჩევის უფლებაზე. აი ეს უკანასკნელი მოსპო წარმომადგენელობამ და „კვალიც“ ამიტომ არის მისი შემოღების წინააღმდეგი. თქვენ კი ეს თქვენებურათ გადავიძინებთ: მართველთა არჩევის მაგიერ წარმომადგენელთა არჩევა ჩაგისვამთ და ასე ყალბი საბუთით იოლათ გასულხართ.

ერთი სიტყვით, ვიმეორებ, ბ. ნა — ლის ყალბ საბუთებს, თავისი აზრის უარს ყოფას, სხვების დავიწყებას და ყოველივეს ერთთ არე-დარევის საზღვარი არ აქვს. მოკლეთ, აი რა მოიმოქმედა ბ. ნა — ლმა: 1) მან გადაამახინჯა ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები ქუთაისის მამულებს შესახებ, გასაყიდათ გამოცხადებულს 1883 წ.; 2) მან თავისივე ნათქვამი: წარმომადგენელობის შემოღება ოპოზიციის ბრალი არ არისო, უარყო და წინააღმდეგს აცხადებს; 3) მან ჩიკვიძეს უსაყვედურა წარმომადგენელობაზე არ ზრუნავთო, ხოლო ახლა ეს უარყო და ამბობს, დიხანაც ზრუნავდაო; 4) მან გადაამახინჯა „კვალის“ აზრი შესახებ ბანკში პირდაპირი მონაწილეობის მიღებისა და მართველთა არჩევის უფლება-სა. 1)

ამ ხანათ ეს ეყოფა ბ. ნა — ლს.  
 ძველი მოკამათუ.

ა ნ გ ა რ ი შ ი

წერა კითხვის გამაგრებელი საზოგადოების.  
 წვენ მივიღეთ წერა-კითხვის გამაგრებელი საზოგადოების მოქმედების გასული წლის ანგარიში, საიდანაც მოგვყავს შემდეგი ცნობები: წლის განმავ-

1) აი ეს შესანიშნავი პოლემიტი ბ. მაიაშვილს უდგება კვილათ და ის, რაც ამ უკანასკნელმა გერ შკამინაა, კითომ და თვითონ ამწხვს. სახელდობრ: ყარდა.

ლობაში გამგეობას ჰქონებია 39 სხდომა. თითო სხდომაზე ორთა შუა რიცხვით მოდის 9 10 საქმე განხილული. გამგეობის წევრთაგან სხდომაზე ყველაზე ნაკლები დასწრებია კიტა აბაშიძე — 7-ჯერ, შემდეგ მოდის ილია ქაქვაძე — 8-ჯერ, ევ. გაბაშვილისა — 10 ჯერ, გრ. ყიფშიძე — 13-ჯერ და ივ. ზურაბიშვილი — 14-ჯერ. ყველა სხდომას დასწრებია მხოლოდ მდივანი. საზოგადოებას აქვს იგივე სკოლები და იგივე ბიბლიოთეკები, რაც წინა წლებში ჰქონდა. სწავლის მხრით, განსაკუთრებით კარგს მდგომარეობაში ყოფილა ბათომის სკოლა. რევიზორს, ბ. ი. გოგებაშვილს ასეთი მსჯავრი დაუდგია ამ სკოლისთვის: „ბათომის სკოლა წარმომადგენს ამ ქვათ ნამდვილ პედაგოგიურ სასწავლებელს, ქეშმარიტ ლამპარს განათლებისას“. სკოლაში ითვლებოდა ამ წლის დასაწყისში 155 მოწაფე, ამათში მაჰმადიანია 29, ებრაელი 3, სომეხი 5. აქ მასწავლებლებათ არიან ძველ-სენაკის სკოლიდან გადმოყვანილნი ი. რამიშვილი და ივ. გოგოლაშვილი. სკოლაზე წელიწადში იხარჯება არა უმეტეს ორი ათასი მანეთისა. — სენაკ-ს სათავად-აზნაურო სკოლაში ყოფილა 122 მოწაფე (წლის დასაწყის), მასწავლებელია 4, ერთი ინსპექტორი და ერთი აღმზრდელი — სულ 6. სკოლაზე იხარჯვის არა ნაკლებ 7 ათასი მანეთი სა! (საანგარიშო წელს დახარჯულა 6799 მ. 93 კაპ.). გასული წლის 15 ივნისს აქ გადმოიყვანეს ახალი მასწავლებლები, ხოლო ძველები სხვა სკოლებში გადაიყვანეს — „საქმის სარგებლობისათვისო“ — ამბობს ანგარიში. საანგარიშო წელს გამგეობას ამ სკოლისთვის რევიზია არ გაუკეთებია. სკოლის მოწაფეებს გამოუტოვებიათ 5872 ვაკეეთილი. — ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ითვლება 433 მოწაფე და 20 მოსამსახურე პირი, ამათშია ერთი ინსპექტორი, 14 მასწავლებელი, 4 აღმზრდელი და ერთი ექიმი. მოსწავლეებს გამოუტოვებიათ 15,284 ვაკეეთილი, რომლის უმთავრესი მიზეზი ყოფილა „ერთის მხრით, მოსწავლეთა სიღარიბე და მეორე მხრით მათი აყათმყოფობა“. სკოლაზე დახარჯულა 19,940 მ. უკანასკნელ ორ სკოლას ზედამხედველობას უწევს ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტი, რომლის წევრებსაც ნიშნავს გამგეობა. გამგეობას გასულ წელს ძველი კამიტეტი გამოუცვლია და ახალი დაუნიშნავს: თამჯდომარეთ დ. ბაქრაძე, წევრებათ: კ. ბ. ლორთქიფანიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე, ა. მ. ერისთავი, კ. დ. ბაქრაძე, ი. ი. ოცხელი და ა. თ. ნაწი-შვილი.

ნამ გადაამახინჯა მაიაშვილის აზრი! არა მგონია ბ. ნა — ლს, ამ სხვისი და თავისი აზრების კლასიკურ გადამასინჯებელს, ეს ტყუილი ვინმემ დაუჯეროს.



კავკაზის სკოლაში ყოფილა 132 მოწაფე. აქვე არსებობს საკვირაო სკოლა დიდებისათვის, რომელიც იმყოფება ბ. ტ. კახიძის (სკოლის მზრუნველის) გამგეობის ქვეშ. საანგარიშო წელს საკვირაო სკოლაში ასწავლიდნენ ქ-ნი დ. ბაქრაძე, და ბ-ნები პ. გოთუა, გვარამაძე, კონჭუხიძე, მღ. ე. ნათაძე და თვით გამგე ტ. კახიძე. მოწაფეთა რიცხვი იყო 42; სულ და-არსებიდან აქ უსწავლიათ 125 მოწაფეს. ეს ერთათ ერთი საკვირაო სკოლაა, რომელიც „საზოგადოების“ სკოლასთან არსებობს. აქვე აუშენებიათ ეკლესია, სადაც ქართული წირვა-ლოცვა წარმოებს. სკოლაზე დახარჯულა საანგარიშო წელს ორიათას მანეთზე ნაკლები. სკოლას განაგებს ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც სკოლის სადგომის გაფართოებისათვის და ეკლესიის აშენებისათვის დაუხარჯავს 8516 მ. 36 კ. სულ საანგარიშო წელს მოსულია 10,374 მ. 67 კ. ხარჯი. ამ ხარჯებში გამგეობისაგან, მხოლოდ 251 მ. მიცემული დანარჩენი კი კომიტეტის მოგროვილია. - ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაშია საზოგადოების სოფლის სკოლები, განსაკუთრებით წინარეხის სკოლა, სადაც მოწაფეთა რიცხვი არ ასცილებია 7-ს! — წიგნების ვაჭრობისაგან საზოგადოებას დარჩენია წმინდა მოგება 1589 მ. 34 კაპ. — საზოგადოებას ჰყავს 513 წიგრი და გასულ წელს შემოსულა მხოლოდ 362 მ. საწიგრო ფული. ყულაბებით შეუგროვებიათ 312 მ. 95 კ. საზოგადოების მთელი შემოსავალ-გასავალი აღწევს 40 ათას მანეთამდის (39,619 მ. 91 კ.). ამაში მარტო კავკაზის და ბათუმის სკოლის შემოსავალი 30 ათას აღემატება. თვით გამგეობას კი ძალიან მცირე ნაწილი მიუძღვის.



მეაბრეშუმეობა კავკასიაში 1898 წ.

ბათუმის დამოკნით გასული წლისთვის უცხოეთიდან შემოტრანათ 317 ფუთი 33 გირ. აბრეშუმის თესლი, ღირებული 500, 736 მ. ამაში, 100—150 ფუთი გა-უტრანათ სპარსეთში და თურქესტანში, ხოლო დანარჩენი დარჩენილა კავკასიაშივე. რადგანაც მოთხოვნილება დიდი იყო და გასაყიდი თესლი კი ცოტა, ამიტომ ფასებმა აიწიეს, იანკარშივე (1898 წ.) თითო კოლოფი იყიდებოდა მანეთ-ნახევარის მაგიერ ორ მანეთ ნახევრათ, სამ მანეთ-ნახევრათ და ხშირათ ოთხ მანეთათაც. ხოლო გა-მოყვანის დროს ალაგ-ალაგ შეიდა მანეთსაც კი იძლეო-დნენ. გასადავს ეკლას თესლი ავიც და გარგიც. თე-სლის უმეტესი ნაწილი პაღდადის, თეთრის ჯიშის იყო, მხოლოდ მცირე ნაწილი საფრანგეთის, ყვითე-ლი ჯიშის. გარდა ამ მოტანილ თესლისა, ადგილობრი-ვნი ბევრი თესლი შეინასეს. ასე რომ საერთო რიცხვი

გამოყვანილი თესლისა ამიერ-კავკასიაში იქნება 320—350 ფ. გუბერნიასთა შორის ეკლასზე მ.ეტა შარკი მოუ-ცია ქუთაისის გუბერნიას — 78,000 ფუთი, ღირებული ერთ მილიონ მანეთათ. საერთოთ კავკასიაში მოსულა 300,000 ფ. შარკი, ღირებულა ოთხ მილიონ მან.— შარკის ყიდვა გაუიღვის გასწის რეკებლათ კავკასიის სა-ბრეშუმო სადგურმა პირველათ 1898 წ. გამართა საზო-გადო ყანთარი დ. ხონში. შარკის გაყიდვის დრო დაი-ნაშნა ნ ივნისიდან და ამ დღიდან ყოველი მხრიდან მოჭქინდათ აქ შარკი ასაწონათ, სადაც წონდენ გა-ნსაკუთრებით მწონელები ხონის საზოგადოების მიერ აწიულ კამისიის ზედამხედველობის ქვეშ. აწონილ შარ-კზე შემატრანეს ეძლეოდა კვიტანცია წონის აღნიშე-ნით და ფუთზე ხდებოდა ერთი კაპ. გაუიღვა შექმლა ეკლასან, სადაც უხდოდა. მხოლოდ მას ვაჭარი ვილარ მოატყუებდა წონაში, რისგანა ვაჭრები დიდ წინააღმ-დეგობას აცხადებდნენ. მიუხედავთ მათი შროტესტისა ში-რველ ათ დღეში პაზარზე გაიყიდა 6,000 ფ. შარკი. პაზარის გასნის დღეს იაზრნიის მომწივნო ჯიშის თესლი ფასობდა 6—8 მ. და 10—12 მ. პაღდადის და ევრო-პიის, მარა შემდეგ პაღდადის ჯიშმა ფასებში აიწია 15—16 მანეთამდე, ხოლო ევროპისამ—14—15 მ. წლის ბოლოს ფუთი ხმელი შარკის ფასი 48 მ. ავიდა. თვი-სებით ამიერ კავკასიის შარკი უკეთესია. საუკეთესო შარ-კი მოკვდა ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ მოდის ქუთაი-სის გუბერნიას. ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულია ევ-როპის ჯიშის შარკი. დანარჩენ ადგილებში კი პაღდადის, იაზრნიის კი იშვიათია. ეკლასზე უკეთესი შარკი 1898 წ. გამოვიდა ევროპის ჯიშის თესლიდან, ეკლასზე ში-ლასესი იაზრნიის და ადგილობრივი თესლებიდან. ერთ გირვანქა მათს იძლეოდა სამი გირ. ხმელი შარკის ასეთმა გაუმჯობესებამ გამოიწვია ის, რომ აჭარა შარკს მ.ეტა პაზარში მიეცა საზღვარ გარეთ. მარსელის პაზარზე მარტო ქუთაისის გუბერნიიდან გაიტანეს 40,000 ფ. ხელი შარკი და ფასობდა კილ. ცხრა-ცხრა ნახევარ ფრანკათ. ჩრდილო კავკასიის შარკი თითქმის ეკლას იყიდა მშათა საზოგნი-კოკების ფაბრიკამ, ქუთაისის გუბერნიიდან კი მ.ეტა ნა-წილი ევროპაში გავიდა, დანარჩენი ადგილობრივ სახევე ფაბრიკებმა ამოასვიეს. ნახევანის მარკაში მთელი მოსა-ვალი ადგილობრივ ფაბრიკებმა შეიყიდა. სახევე ფაბ-რიკები მუშაობდნენ უფრო მოსკოვის საქსოგ ფაბრიკები-სათვის მათის ფასები წლის დამდეგს დაწლოებით იყო 210—220 მ. („სავაჭრო-სამრეწველო გაზ.“) 1)

1) ამ ცნობების შესაცხებლათ ჩვენი მხრით დაგუმა-ტებთ შემდეგს: ჩვენ მივიღეთ ბ. იოსებ ქუთათელაძის შარკი წიგნაკი ამ სათაურით: „Объ организации обществен-ныхъ вѣсовъ и рынковъ для сбыта коконовъ въ кутаис-ской гур.“, აქედანა გტეობულაბთ, სხვათა შორის იმა-



თფილისის სათავად-აზნაურთა სკოლა.

ჩვენ მივიღეთ „ანგარიში მეორე წლის მოქმედებისა, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შექმნილ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, 1898 წლის, საიდანაც ვიღებთ შემდეგ ცნობებს. გასული წლის პირველი იანვარს თფილისის თავად-აზნაურთა სკოლაში ირიცხებოდა 490 მოწაფე. ამათგან 116 პანსიონერი, ხოლო 374 გარედან მოსიარულე. ყველაზე ცოტა შევირდი ყოფილა ბეიქისე კლასში — სულ 9. ეგზეციენტებზე მეტი წარმატება გამოუჩინათ პანსიონერებს, მაგ. ამათგან შემდეგ კლასებში გადასულან 81, — 5 პრინცი. გარეთ მოსიარულეთაგან კი 73, — 3 პრინცი. გასული წლის განმავლობაში სკოლისთვის თავი დაუხუბებია 55 მოწაფე, (სიღარიბის გამო გამოსულა 4). ამათგან გემნაზიაში შესულა მხოლოდ 5. ამ უმთხვეობაში ირიცხება 537 მოწაფე. საანგარიშო წელს მომატებია 47 ბავშვი. პანსიონერთა შორის საზოგადოების სრულ ხარჯზეა 25, — 49 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე (შემოქმეტ წელიწადში ათ-ათი თუმანი), 47 სრულ საკუთარ ხარჯზეა. გარედან მოსიარულენი იხდიან სწავლის ფასს (წელიწადში თორმეტ მან.) სულ 214. სწავლის ფასისაგან განთავისუფლებული იყო 202.

წოდებით მოსწავლეთა რიცხვი განიყოფება ასე: თავად-აზნაურნი 369, სასულიერო წოდება 39, მოქალაქენი 49, გლეხნი 79. ამათშია 2 სომეხ-გრაგორიანი, 3 კათოლიკე და 1 მკჷმდიანი. ქ. თფილისიდან არიან მხოლოდ 30, დანარჩენთა დიდი უმრავლესობა სოფლებიდან არიან. ყველაზე მეტია გორის მხრიდან — 212, თფილისის მხრიდან 99, თელავის მხრიდან 37, სიღნაღის — 45, დუშეთის 40, თიანეთის — 6, ახალციხის — 2, ბორჯომის 1. სულ თფილისის გუბერნიიდან 472. ქუთაისის გუბერნიიდან 60. (ამათში 25 შორაპნის მხრიდან, 16 ოზურგეთის, 10 რაჭის, 7 სენაკის, 2 ზუგდიდის), სხვა გუბერნიებიდან 5. — სკოლაში მსახურობს 37 პედაგოგი: ერთი ინსპექტორი, ერთი მისი თანაშემწე, 23 მსწავლებელი, 5 აღმზრდელი და სხ. ამათში ქართველია 29. ამთ ჯამაგირზე ისარქება 31 ათას მან.

საც, რომ პარკის საზოგადო სწავლების გამართვა წელს საჭიროა შემდეგ აღაკაში: ქუთაისში, ხონში, სამტრედიასში, ღვინისუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, სავანისში, აბაშიში, ახალ-სენაკში, მარტვილში, ხეთში, ზუგდიდში და წალენჯიხისში. აი ეს ადგილები ყოფილა უმთავრესი პუნქტები ქუთაისის გუბერნიის პარკის კატეგორიის და აქვე უნდა იქმნას მიღებული ყოველი დონე ამ კატეგორიის გასაწყის რეგულაციით. ზოგ აქ ჩამოთვლილ ადგილებში უკვე გაუხსნიათ პარკის საზოგადო სწავლება.

რედ.

ნეთზე მეტი. სულ სკოლაზე საანგარიშო წელს დახარჯულა 60, 976 მ. და 67 კაბ. ხოლო სკოლისაგან (პანსიონერთაგან და სხ.) შემოსულა 16,888 მ. და 32 კაბ. რაც შეეხება თვით „საზოგადოების“ მთელ შემოსავლას — ეს საანგარიშო წელს უდრის 173, 956 მ. და 33 კაბ. (წევრთაგან შემოსულა მხოლოდ 6 მ.) უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთ დახმარება 2,382 მანეთით. მუდმივ სტიპენდიატებათ ჰყოლია შემდეგი 5 სტუდენტი: გონსტანტინე მუყაილი, გიორგი ყაზახაშვილი, ივანე ნიჟარაძე, გიორ. ნათიშვილი და ალექსანდრე თარხნიშვილი. დიხსია აღნიშვნის ისიც, რომ ერთ სტუდენტს უკან დაუბრუნებია 50 მ.

საუბარი მკითხველთან.

X (გაგრძელება \*)

შეკონომიურმა კანონებმა სამუდამოთ დაამარცხეს ყოველნაირი ილილიუზიები და სოციალურ მოვლენათა ხელმძღვანელნი გახდნენ. დიდმა სამრეწველო რევოლუციამ ყველასათვის ცხადყო, რომ საზოგადოებრივი კლასები და მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება უბრალო შემთხვევის ანუ ვისიმე სურვილის ნაყოფი როდია; ის ისტორიულათ და სოციალურათ წარმოების განსაზღვრული მატერიალური პირობების წარმოშობილია. მართლა, ვის არ უნახავს ლატაკი პროლეტარი, რომელიც წვრილ მესაკუთრობის ნანგრევზე აღმოცენებულა? ვინ არ იცის, თუ როგორია ეს გადასვლა ერთი სოციალური მდგომარეობიდან მეორეზე? აღარავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფული კაპიტალათ ქცეული, იზიდავს თავისკენ თავისუფალთა შრომას; ვის არ უნახავს ქალაქების სწრაფი ზრდა, სადაც სიმდიდრესთან ერთათ, თითქო მისს დასაშვებლობათ, სიღარიბეც იზრდება; რომ ახალნაირი სიღარიბის მსხვერპლათ აგრეთვე ქალი და ბავშვიც ხდება? ამნაირი სურათების ხილვამ საზოგადოების კრიტიკა წარმოშვა; ეს არის სოციალური დასაწყისი, ამ დროს იჩენენ თავს თეორიები: ბუნებრივი უფლებისა (ест. право), საზოგადოებრივ პირობისა (обществ. договоръ) და სხვა. ჩნდება სხვა-და-სხვა ფორმები უტოპიური სოციალიზმისა და დასასრულ თანამედროვე მატერიალიზმამაც იჩინა თავი. ეს უკანასკნელი სუბიექტიური კრიტიკა როდია, იგი საგანს კი არ არჩევს, არამედ საგანი არჩევს თავის თავს. საზოგადოების ნამდვილი და უტყუარი კრიტიკოსი თვითონვე საზოგადოებაა. საზოგადოება ანტიტეზებიდან და კონ-

\*) იხ. „კვლევი“ № 22.



ტრასტებიდან შედგება; იგი თავისთავად წარმოადგენს ავითარებას თავის წინააღმდეგობას; ეს წინააღმდეგობა გადავა რა არსებობის ანალ მიმდინარეობაში უთუოთ სძლევს ძველ ფორმას. დღევანდელი ანტიტენების გადაწყვეტი მწარმოებელი მუშაა, რაცა შეიძლება მან არც კი იცოდეს. ერთი მხრით, თუ მისი სილატაკე აუცილებელია დღევანდელი საზოგადოების არსებობისათვის, მეორე მხრით იგი საფუძველია კლასიური თვით განვითარებისათვის. ზნეობა, ხელოვნება, სარწმუნოება და ცოდნა ნუ თუ მხოლოდ გარეგანი გამოხატულება ეკონომიური პირობების და სხვა არაფერი? ამას ხშირათ იმეორებენ მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი. ამიტომ საჭიროა მოკლეთ მაინც შევეხოთ ამ კითხვას. ჯერ ზნეობაზე ვილაპარაკოთ.

ადამიანი რადგან საზოგადოებაში ცხოვრობს უთუოთ ზნეობაც აქვს. საზოგადოების წევრთ გავლენა აქეთ ერთმანეთის აზრზე, შეხედულებაზე, აქეთ საერთო ზნე-ჩვეულება; ეს ფაქტია. მხოლოდ ეს ფაქტი დამოკიდებულია სოციალურ ცხოვრებაზე და მასთან ერთათ იცვლება. ჯერ კიდევ არისტოტელმა შენიშნა, რომ არ შეიძლება ფაქტი ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი იყოს; ჭეშმარიტი ანუ შემცდარი შეიძლება იქნეს ის სისტემა, რომელიც ამ ფაქტის ახსნას, დამატებას ცდილობს, მხოლოდ ფაქტი თავის თავათ ყოველთვის ჭეშმარიტი არისო. თავისუფალი ნების მომხრეებს ჰგონიათ, რომ სურვილი უმიზეზოთაც დაიბადება ადამიანის გონებაში, რაც ამტკიცებს მათ ფიზიოლოგიის უცოდინარობას. სურვილი ყოველთვის განსაზღვრული მოთხოვნების ნაყოფია. ზნეობის დასაწყისი სოციალურ პირობებში მოიპოვება. ინდივიდუალური და სუბიექტიური პედაგოგია, ადამიანის გაუმჯობესების საზოგადო პირობებს წარმოადგენს ხოლმე, განყენებულ პრინციპებს ადგენს, რომლის შესაფერათ უნდა იზრდებოდეს ადამიანი. ამნაირათ ადამიანი იქნება ჯანმრთელი, კაცთ მოყვარე, ერთი სიტყვით, ყოველი ღირსებით შემკული. მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ პედაგოგებს. განა სუბიექტიურ პედაგოგიას შეუძლია შექმნას ის სოციალური წრე, რომელიც გამოადგება ამ ღირსებათა ნიადაგათ? იმათ შეუძლიათ მხოლოდ უტოპია შექმნან, რეალური ნიადაგი კი არასოდეს. განყენებული მსჯელობის დროს, რასაკვირველია, შევნიერებ ადამიანის გაზდა შეიძლება, ნამდვილათ კი ადამიანი ვითარდება და უმჯობესდება იმდენათ, რამდენათაც ამისთვის ხელს უწყობს მას გარეშე პირობები, რომელშიაც ის ცხოვრებს. როგორ განთავისუფლდეს გლეხი იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომელიც შედეგია მისი სოციალური მექანიზმის უცოდინარობისა და მიწის მონობისა?

დღევანდელმა მუშამ, რომელიც დღე გამოშვებიათა ცვერ ძღება ხოლმე, რაფერ იცხოვროს ისე, როგორც საშუალო საუკუნოს ხელოსანი ცხოვრებდა, მშვიდათ და უფერულათ? თანამედროვე ვაჭარს განა შეუძლია რომელი მოქალაქის დარღმანდობა და სიჩაუქე ჰქონდეს?

რა თქმა უნდა მხოლოდ სრულიად უფრეს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ინდივიდუალური ზნეობა თვითოეული ადამიანისა შეეფერება მას ეკონომიურ მდგომარეობას; არაფერ არ ცხოვრობს თავის კლასში კარჩაკეტილი, ყველა კლასსებს გავლენა აქეთ ერთმანეთზე. წრისა და ტრადიციის გავლენა ისე მჭიდროთ არიან ერთმანეთში ჩართულნი, რომ შეუძლებელია ყოველი ადამიანის განვითარება კლასის განყენებულსა და საზოგადო ცხოვრებას შეედრებოდეს.

ამნაირსავე ანალიზს უშვება ა. ლაბრიოლა მეცნიერებას, სახელმწიფოს, უფლებას, სარწმუნოებას. ყველას დასაწყისს სოციალურ პირობებში, საწარმოო ძალთა განწყობილებაში პოულობს და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ადამიანი ერთ და იმავე დროს რამდენსამე ისტორიას როდი ჰქმნის; ყველა ეს ვითომდა სხვა-და-სხვა ისტორიები (ხელოვნება, სარწმუნოება, მეცნიერება და სხვ.) ერთ ისტორიას წარმოადგენენ“.

სამწუხაროთ, მკითხველო აქ უნდა შეგაწყვეტინოთ ამ გონიერ აზრების ყურის გდება, რადგან სტატის სიერცე ნებას არ გვაძლევს შევეხოთ ყველა იმ საინტერესო კითხვებს, რომელსაც ა. ლაბრიოლა თავის წიგნში არჩევს. შეიძლება გიკვირს, მკითხველო, რომ ასეთ პატარა წიგნში ამდენი აზრების მოთავსება შეძლო ავტორმა?! ნუ გავიკვირდება. გამოჩენილი მეცნიერი პასკალი თავის მეგობართან მიმართულ წერილს ასე აბოლოვებდა: მომიტევე, ვრცელ წერილს გწერ, მაგრამ დრო არ მქონდა უფრო მოკლე წერილი დამეწერაო. უეჭველია ქართველს ამნაირი აზრი გააკვირვებს და შეიძლება შემომწყურე კიდევ, მკითხველო: გრძელი წერილის დაწერის დრო თუ ჰქონდა მოკლე უფრო ადვილი დასაწერი არ არისო? აბა, მკითხველო, იმას, რაზედაც უფრო დიდხანს უფიქრნია ადამიანს, რის შესწავლას და შეგნებასაც უფრო მეტ ხანს მონდომებია, ყოველთვის უფრო მოკლეთ გამოთქეამს; მრავალსიტყვაობა მხოლოდ რიგინათ შესწავლელობის შედეგია. ამის შენიერებ მაგალითს დარენი წარმოადგენსო, ამბობს რუსის მეცნიერი კტიმირიაზევი. პირველათ თავისი თეორია, რომელიც დღეს რამდენსამე სქელ ტომებშია დასაბუთებული, დარენმა ნახევარ ფურცელზე მოათავსა და ლინეევის საზოგადოებას გაუგზავნა.



ამას შემდეგ გასაკვირველიც აღარ არის, რომ ა. ლაბრილიამ მცირე ფურცლოვან წიგნში მრავალი გონიერი აზრები წარმოთქვა და გამოარკვია.

X ალ. წულუკიძე.

### უკანასკნელი შეხვედრა.

(ტურგენიევიან)

ღვსლაც ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით.....

დაკვიდგა უსიამოვნო წუთი და ჩვენ განვშორდით როგორც მტრები.

განვლო ბევრმა წლებმა..... ერთხელ მიველ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობდა, შევიტყე რომ უიმედოა არის ავად და სურს ჩემი ნახვა,

მივედი მასთან, შევედი მის ოთახში.... შეეხედეთ ერთმანეთს. ძლივს ვიციან. ღმერთო! სენს რანაირათ გამოეცვალა იგი!

გამხდარი, გაყვითლებული, თავგადასვლელი, თეთრი წაწოლა წვერით, იჯდა განგებ დაკუწულ პერანგის ამარა... ვეღარ უძლებდა ტანისამოსს. აღვლევით გამიწვდინა საოცრათ გამხდარი, ჩონჩხით ხელი და სწრაფათ წაილულლულა გაუგებრათ რამდენიმე სიტყვა—სალამს მადლდა თუ საყვედურს — ვინ იცის? დაწყობილებულმა გულმა დაიწყო ტაკვა, ჩაღრმავებულ, მოვლევარე თვალების კაკლებიდან გადმოცვივდა ორი ტანჯული წერილი ცრემლი.

გული ამიკენესდა.... მოეუჯექ გვერდით... ამ საშინელი და საზარელი სანახავით შემკრთალმა თვალები ძირს დაუშვი და მეც ხელი გაეუწვდიწე.

მაგრამ მომეჩვენა, რომ მე სხვა ხელმა მომკ და ხელი.

მომეჩვენა, რომ ჩვენ შუა იჯდა წყნარი, მალაღობრი, თეთრი ქალი, თავიდან ფეხებამდის გახვეული თეთრ ჩადრში; მისი ღრმა, უსიცოცხლო თვალები არ საით არ გაყურებოდენ, მისი სასტუკი გალურჯებული ტუჩები არა ფერს არ ამბობდენ....

ამ ქალმა შეაერთა ჩვენი ხელები... მან შეგვარიგა საშუადამოთ.

ღიახ... სიკვდილმა ჩვენ შეგვარიგა....

### წერილი რედაქციის მიმართ. \*)

ვერის“ 96 ნომერში წავიკითხე ბ. ნ. წერეთლის შეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის გამცეს

\*) ეს წერილი ცოტათი დაგვიანდა, რადგანაც მე, სამსახურის გამო, სოფელთ ვიყავი გასული. ს. ბ.

წერილი და მასთან ამავე ამხანაგობის სარევიზიო მისიის განცხადება. როგორც ბ. წერეთელი, ისე სარევიზიო კომისია ბრალს მდებენ მე მასში, რაშიაც თითონ არიან დამნაშავენი და გზას უხვევენ ჰუმბრიტებას. ახსნათ ცოტათი მაინც ფარდა ამ დევგმირების მოქმედებას. აი საქმე რაში მდგომარეობს:

21 რიცხვს წარსულ აპრილის თვისას ს. კუხში იყო ყრილობა I-ლი ამხანაგობის მეაბრეშუმეთა საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარეთ ერთხვათ ვიყავი არჩეული მე.

ჩემი იქ ყოფნა, არათუ ყრილობაზე, არამედ აღვილზედაც პირველი იყო და ამ შემთხვევაშიაც მე ვხელმძღვანელობდი იმ სურვილით, რომ გაცნობილი მეაბრეშუმეთა საზოგადოების ვითარებას, მის სიმდიდრეს, მის კარგ და ცუდ მხარეებს, საქმის წარმოების წეს-რიგს და სხვ. ეს სურვილი მით უფრო შესაწყნარებელი იყო, რომ აგერ ორი-სამი წელიწადია დადიოდა და დადის ხმა, რომ საზოგადოების საქმეთა მსვლელობას სხვა ელფერი დაეტყო, რომ ვითომ გამეკ ამ საზოგადოებისა ბ. წერეთელი არ იძლევა საზოგადოების წინაშე სრულ ანგარიშს, ცდილობს მიწურულში მოახდინოს ყრილობა და კიდევაც ახერხებსო, და მაშინაც ჩქარობს ანგარიშის დამტკიცებას, იმ ყოველთვის ერთისა და იმავე საბუთის ძალით, რომ, თუ ახლავ ანგარიში არ დამტკიცდა, ამხანაგობას ნდობა დაეკარგება და ბანკებიდან ფულს ვერ იშოვისო და სხვ. და სხვ.

ბ. წერეთელს ჩვენ პატარა საზოგადოებაში დღემდის შეუბღალავი სახელი ჰქონდა და აიტომაც არ იყო დასაჯერებელი, რომ იგი სიბნელის მოტრფილვე შეიქნებოდა! საქმით აღმოჩნდა, რომ ჩვენ შემცდარი ეყოფილვართ: ყოველ მის განკარგულებას ძველებური ხასიათი აჩნდა. ყრილობა მიწურულში დანიშნა—21 აპრილს, როდესაც მოახლოებულია აბრეშუმის შესახებ აღებ-მიცემობა, ხოლო მისგან 21 აპრილს გამიწვეული ხალხი 11 საათზე—უცდა ყრილობის გახსნას ნაშუადღევს 2-საათამდის; მიწვევის უწყება ბევრს არც კი მიუღია და ამის გამო, რასაკვირველია, არ დასწრებია ყრილობას. ბ. გამეცსაკან იმისთანა ანგარიში იყო წარმოდგენილი, რომ დღემდისაც ვერ მიმხედარვართ, ამ კაცმა რისათვის შეიწუხა თავი, თუ არ ფიქრობდა რომ ჩვენ გულთმისნები ვიყავით და მიეხედებოდით მას, რისაც მიხედობა არავის არ შეუძლია. ამ ახირებულ ვით. მდა ანგარიშს, რომლიდანაც, ვიმეორებ, წარმოების გატნობა შეუძლებელი იყო, მოჰყვა არა ნაკლებ ახირებული დასკვნა სარევიზიო კომისიისა, რომ საწარმოვე წიგნების და დავთრების ცნობები ეთანხმება გამეცსაკან წარმოდგენილ ანგარიშსაო და ამით კი-



დევაც დაბოლოვდა ყოველი მოვალეობა ამხანაგობისა. საცოდავი ეს კომისია! „დეორების ცნობები ეთანხმება გამგესაგან წარმოდგენილ ანგარიშსა“, ესე იგი რაც დეთარში დაუწერია წერეთელს კარგათ გადმოუწერია ანგარიში წერეთელსო; წერეთელს წერაც ცოდნია და გადმოწერაცო და ამას ვამტკიცებთ ჩვენ — კომისიის წევრნი — სამი მღვდელი და ორი ექიმიო!! მოვალეობის შეკნებას რომ იტყვიან სწორეთ ასეთი უნდა

საზოგადოებას ანგარიშის წაკითხვით საქმის მდგომარეობა, როგორც ზეერთაც ვთქვი, არ შეეძლო ვაეცნო, მაგრამ მაინც ანგარიშის დამტკიცების შესახებ ყრილობაში გაისმოდა ორი ხმა: ერთი ძალი, რიხიანი, თითქმის ბრძანებლობითი: „დამტკიცდეს! დამტკიცდეს!“ „ვენდობით გამგეს, არ არის საჭირო ანგარიშიო“ და სხვ. მეორე ხმა კი უფრო გაგებულათ ეკიდებოდა საქმეს, მას სურდა განეთანტა იქვეები ამხანაგობის წარმოების შესახებ და ცოტათი მაინც სინათლე მოეფინა საქმისათვის... გამგე ჩვეულებრივით „მჭკვერმეტყველობდა“, გვარწმუნებდა, რომ ამხანაგობის საქმეებზე კარგათ არის, ვრცელი ანგარიში დღეისათვის ვერ მოვასწარით და საქმის წარმოება მოითხოვს დღესვე ანგარიში დამტკიცოთ და ნდობა განაცხადოთ, რადგან აღებ-მიცემობა მოახლოებულია და ფული მესაჭიროება ბანკებიდანო და სხვ.

აი, ამაში მდგომარეობდა გამგეს გულისწადილი: წარსული წლის ანგარიში დამტკიცებულიყო გაუცნობლათ და მას მომეალზე ნდობა გამოცხადებოდა! ამაზე რომ ნებას არ დაჰყვენ და მოთხოვენ უფრო ვრცელი ანგარიშის წარმოდგენა, მაშინ „გამოდელი“ საშუალებას მიმართეს, როგორც გამგემ ისე სარევიზიო კომისიამ: ააყვირეს ხალხი, „დამტკიცდეს ანგარიშიო!“ მე თითონ ჩემი თვლით ვნდავდი ორიოდ წევრს სარევიზიო კომისიისას, რომ ხალხს ანიშნებდენ, რა დროს როგორ უნდა ეყვირაათ...

საზოგადო საქმეში ამისთანა აღვირ-ახსნილი მოქმედება იმ პირების მხრივ, რომლებიც პირიქით უნდა ქირისუფლობდენ მას, შეუძლებელ ჰყოფდა დამჯდარ და გულ-დასმით საქმის შესახებ მსჯელობას. ასეც მოხდა: „შარშან ჩვენი სახელით ფული გამოიტანა ბანკებიდან, აწარმოვა, დღეს კი ანგარიშსაც არ იძლევა, რაში და როგორ დახარჯა და ჩვენგან ხელახლავ თხოულობს ნდობას იმ განზრახვით, რომ შემდეგისათვისაც არაფერი ანგარიში არ წარმოადგინოსო“, — გაისმოდა ირველივ. გამგეობამ მაინც არ იცნო თავისი თავი ვალდებულიათ საზოგადოების სურვილი დაეკმაყოფილებინა! რისთვის? — არ ვიცი, არა

თუ ჯგუფი პატივცემულ პირთა, რომელთა უცხადებდა უკმაყოფილებას ანგარიშის უფარვისობის გამო და თხოულობდა ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას, ამხანაგობის ერთი წევრიც რომ დარჩენილიყო უკმაყოფილოთ, მე მგონია, იმ შემთხვევაშიაც გამგეობა მოვალე იყო მისი სურვილი შეესრულებია. ეს მისი არა თუ იურიდიული, უპირველესი ხნეობრივი მოვალეობაც უნდა ყოფილიყო. კანონიერი თხოვნის დაკმაყოფილების მაგიერ მართველობის წარმომადგენლებმა ისე ააყვირეს ხალხი, რომ „ძალი პატრონს ვერ ცნობილობდა“. პირველათ ხარის რეკა არავის ესმოდა, ყურთა სმენა აღარ იყო, მეორე, როცა ჩამოვარდა სიჩუმე და მე განვიზრახე მესარგებლო ამ გარემოებით, ვერც ჩემმა ცდამ მოიტანა ნაყოფი. მე განემარტე საზოგადოების წინაშე, რომ ამ კითხვის შესახებ ხმა ორათ გაიყო მეთქი, ერთი ნაწილი საზოგადოებისა თხოულობს ანგარიშის დამტკიცებას, განურჩევლათ იმისა, ვარგა ის ანგარიში თუ არა, ხალხი მეორე ნაწილი კი არ კმარობს ანგარიშს, როგორც გამგესაგან ისე სარევიზიო კომისიისაგან წარმოდგენილს და თხოულობს დღევანდელი ყრილობა გადიდვას ორი კვირით, დაინიშნოს ახალი კომისია, რომელსაც დაევალოს ამ ვადის განმავლობაში ვაეცნოს დაწერილებით საქმის წარმოებას და ვრცელი დაწერილებითი ანგარიში წარმოუდგინოს ყრილობას მეთქი. პირადათ, მე ამ უკანასკნელ აზრს ვარჩევ, რადგან დღეს, თუმცა დიდი სურვილი მქონდა ვაეცნობოდი საქმეს და ყურადღებითაც მოვისმინე ანგარიში, მაგრამ მან ჩემი სურვილი ვერ დააკმაყოფილა მეთქი. ვარდა ამისა — განვიარქვე მე. — საქმის გაცნობით მეორე საქმესაც ვაეასწორებთ. ბატონ წერეთელს, როგორც გამგეს, აგერ ორი-სამი წელია სხვა-და-სხვა ბრალს დებენ, ტალახს ცხებენ მის პირად ღირსებას და საქმეს თუ სინათლეს მოვფენთ მოვაცილებთ მას ამ „ცილისწამებას“ მეთქი. ამასთანავე მოვიხსენიე, რომ ამხანაგობის აღებ მიცემობას საქმის გაცნობა და ყრილობის გადადება ორი კვირით არა თუ არ აენებს, დიდ სარგებლობასაც მოუტანს მეთქი.

ამ ჩემმა სიტყვებმა განვლების მაგიერ ერთი მეტი მუგუზალი მიუმატეს ცეცხლს. მე, სულ ახალი კაცი ამ საქმეში, გამოაცა იმ გარემოებამ, რომ ჩემ მოპირდაპირეთ გამოჩნდა ამ შემთხვევაში ბ. წერეთელი და სარევიზიო კომისიის წევრები. ზემო აღნიშნული წინადადება თითქმის პირად მესურაცხყოფათ მიიღეს მათ და მოურიდებლათ გამოაცხადეს, რომ მე ეითომ ამხანაგობის მოღალატე ვიყო, განგებ ამ მიზნით ჩავსულვარ ს. კუხში, რომ გატაცებული ვარ ცალმხრივი მსჯელობით, რომ არ შექნ



უფლები კითხვის ამ რიგით განმარტებისა, რომ ვალ-  
დებული ვარ რასაც უმეტესობა გაიძახის მხო-  
ლოთ ის ვიქონიო მხედველობაში და სხვა-და-სხვა.

ერთი სიტყვით, სად იყო ან თავმჯდომარის ან  
კრების, ან თავისი თავის მორიდება და პატივის ცე-  
მა! საქმის გამორკვევის მაგიერ ბ. წერეთლის „მო-  
ხრებები“ ძალმომრეობაზე იღვენ და ამისთვის მე  
იძულებული ვიყავი დამეხურა კრება.

მეგონა რომ ბ. წერეთელი ახლა მაინც გასწო-  
რებდა შეცდომას, ისარგებლებდა დროით და შეად-  
გენდა ვრცელ ანგარიშს; მით უფრო მოსალოადნე-  
ლი იყო ეს, რომ მეორე დღესვე გაუგზავნეს მას ნო-  
ტარიუსი კრების უკმაყოფილოთ დარჩენილმა წევრე-  
ბმა, რომელსაც ჰსურდა საგანგებოთ არჩეულ პი-  
რების შემწობით გაცნობა და საქმეს, მაგრამ ბ. წე-  
რეთელს არც ანგარიშის შედგენაზე შეუწყნებია თა-  
ვი და არც პასუხი უღირსებია ნოტარიუსისათვის...

ამის მაგიერ, 9 — მაისს, სწორეთ 18 დღეს შემ-  
დგე, მან მოახდინა ყრილობა, რომელსაც საქმის ვა-  
ცნობის მსურველნი არ დასწრებიან და დამტკიცე-  
ბია პირველი ყრილობის დაწინებული ანგარიში. ბ.  
წერეთელმა კარგათ იცის, რომ ყრილობის მოხდენ-  
ის უფლება მას არ ჰქონდა, მაგრამ იქ საღარის უფ-  
ლება, სადაც ძალადობა მეფობს და ძალადობა  
მტარვალობს!...

დაწერილებითი ანგარიში მით უფრო სავალ-  
დებულო უნდა ყოფილიყო ბ. წერეთლის მხრივ,  
რომ ის, ბ. წერეთელი, ერთათ-ერთი განაგებს ამ-  
ხანაგობის საქმეებს, 1) არაფერი დაწერილი წესდება  
მას ჯერ არ აქვს, ამხანაგი მას არ ჰყავს და მაშ ყო-  
ველი ანგარიში წვერთა კრებას მხოლოთ მის პი-  
რად ლირსებებზე უნდა ჰქონდეს დამყარებული. ამი-  
სთანა შემთხვევაში თავის მოვალეობა ბ. წერეთელს  
გაორკვევულათ უნდა ეგრძნო, მუდამ გადაშლილი  
ჰქონებოდა მსურველთათვის გასაცნობათ ამხანაგობის  
დეთრები, — ის კი პირიქით გაურბის სინათლეს  
და კრიტიკას. ამისთანა მოქმედებით მან იქვეები ფაქ-  
ტებათ აქცია და თავისი ზნეობრივი სურათი თვი-  
თონვე დაასაბუთა.

დასასრულ ორიოდ სიტყვა ბ. წერეთელს! ეს  
ვაებატონი, რომლის ხელთ იყო ამ სამი წლის გან-  
მავლობაში თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრუ-  
ლებით, — უბრალო ანგარიშის შედგენით — სიმშვი-  
დე და თანხმობა ჩამოვდო საზოგადოებაში, ხმები  
თავისი პირადობის შესახებ გაექარწყლებინა, გამოძღ-  
ვარა და გაიძახის გაზეთებში, რომ კორესპონდენცია

1) მართალია, არის კიდევ სარკვეზიო კომისია, მა-  
გრამ მის აწესებობას არყოფნა ჯობია, „არჩის მეო-  
ნე, არჩის მტრადნე“. ეს კომისია ბ. წერეთლის ურ-  
მადრად უმთ გამსდარა და რასაც ჩასძასკებენ, იმას ამა-  
ისანს. წარმოადგინეთ, საქმეების განხილვას და ანგარი-  
შის კითხვამ და განცობას იმ დღეს მიჰყო სელი, რა  
დღესაც ვკრება იყო დანიშნული, ერთი საათის წინ ვკრე-  
ბის განსხმდის!... რა უნდა ეკითხოს ამისთანა, უგან-  
რული მასუნია, რევიზორებს?!... ს. ბ.

21 აპრილს მომხდარი ყრილობის შესახებ „მკითხ-  
ველ საზოგადოებას ვერ წარმოუდგენს ნამდვილ სუ-  
რათს და ყოველ შემთხვევაში, ცუდ აზრს შეადგე-  
ნინებს თითონ საზოგადო კრებასა და ამხანაგობის  
მმართველობის უმაღლეს ორგანოზედა“ — ამ სიტ-  
ყვებით ბ. წერეთელს უნდა გვაფიქრებინოს, რომ  
იგი, წერეთელი, საზოგადოების დიდი გულ-შემატკი-  
ვარი კაცია, მაგრამ ქვეყანას ვერ უცენია, ვერ დაუ-  
ფასებია. ეს ხომ ძველი ხრიკია, რომლითაც ახლა  
ბაეშებსაც ვეღარ ატყუებენ. მაღალფარდიან ფრანგებს,  
მართალია, ერთ დროს ჰქონდათ ფასი, მაგრამ დღეს  
დაეკარგათ მნიშვნელობა. ასე გაშინჯეთ, ძველი ხრიკ-  
მებისტრებიც ვეღარ ასაღებენ მათ იმ რიგათ, როგორც  
ჩივიან. ამას გარდა, ხომ მოგვხსენებათ, quod licet  
jovi, non licet bovi... ერთი სიტყვით, ანგარიში  
ბ. კუხის ტალირანო, და მხოლოთ ა — ნ — გ — ა —  
რ — ი — შ — ი!... სანამ ამ გზას არ დადგებით, ტყუი-  
ლია ყოველი ცდა — თქვენ ნამდვილ სახელს ვერ-  
სად ვერ წაუხვალთ..

დ. ეფინია. ს. პასტაქე.  
25 მაისი. 1899 წ.

ამერიკული გვარჯილა.

ამ ნომერთან ეგზავნებათ „გაგლის“ სელის მომწე-  
რლებს პროფესორის პ. ა. კოსტინევის მოსახრებანი ეი-  
რიმის გენსაქის გამახიერების შესახებ, ჟურნალ „Вѣст-  
никъ Винодѣля-а“ გამოცემა. თუმატ პროფესორ უმთავრე-  
სათ შეეკება ყირიმის გენსათ ნიადაგის გამახიერებას,  
მაგრამ ჩვენი შემამუდგინე ძრაველ ბეგრ სასარკებლო,  
გამოსადგე ცნობებს შეიძენენ პროფესორის წერილიდან.  
ამ წერილში მოყვანილია სსჯა და სსჯა გვარი საშეაქე-  
ბანი გენსისთვის ნიადაგის გასამახიერებლათ; ნახვენებათ  
აგრეთვე რა თვისების ნიადაგს რა შატეიცი მოუხდება.  
ძრაველ გვარ მოსახრების და გამოკვლევის შემდეგ პრო-  
ფესორი კოსტინევი შემამუდგეთ უწიკვს ყურადღებათ მია-  
ქციონ ამერიკულ გვარჯილას (Чилийская Селитра,  
Natum Nitricum), რომელიც საუკეთესო და უგებრ  
სამუდგებათ მიანია გენსის ნიადაგის გასამახიერებლათ.  
ამერიკული გვარჯილის ხმატებით ყურძენს მოსაკალი  
თუმატე იმდენათ მოემატება, რომ რამდენსაც ფუელს მის  
ვიდგაში დასარჯავთ ერთი ათათ მეტს აიღებთ. დასამ-  
ტეიციებლათ ამის ამ ნომერთანვე იგზავნება ცალკე წე-  
რილი საფრანგეთის შემამუდგის რენე ლესაკისა, რომელსაც  
საგანგებოთ უტდია ამერიკული გვარჯილა თავის გენსში.  
ამერიკულ გვარჯილის თვისების შესახებ მსურველს  
შეუძლიან დაწერილებითი ცნობები თფელისშიაც მიიღოს  
— გოლოკინის პროსპექტზე № 45, (ნიკიტინის ტი-  
კის პირდაპირ), Кавказскій Отдѣль Императорскаго Рос-  
сийскаго Общества Садоводства. იქვე ახვენებენ დასატე-  
ბოსტნეულებს, დასარწმუნებლათ იმისი, თუ რა უმიან-  
ტესობა აქვს ამერიკულ გვარჯილით გამახიერებულ ნია-  
დაგს და რა დიდი სარგებლობა მოაქვს მამუდგის შატრო-  
ნისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.